საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 25 სექტემბერი. 2018 წ. №188 (8589) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



ჯორჯ ბუში ⑧ სწორად მოიქცა, როცა 2008 წელს საქართველოში ჯარი არ გაგზავნა

თაღლით გია თვალავაძეს წამალი ჩაუშხამდა! 3

ვანო მერაბიშვილი არავის მოუწამლავს!

ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნის დაკავებასთან დაკავშირებით სუს-ი განცხადებას ავრცელებს

მიშა მოვა VS ბიძინა დარჩება! ⑨

უკრაინის ეკლესია ავტოკეფალიას მალე მიიღებს

ამის შესახებ განცხადება, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა საკვირაო წირვის შემდეგ გააკეთა. ვიდეომიმართვა პატრიარქის „ფეისბუქზე“ გამოქვეყნდა. ის ამბობს, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მუქარის არ ეშინია და მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა, უკრაინის ეკლესია ავტოკეფალიას მიიღებს.



ხალხი სულ სხვა აზრისაა: ხალხმა იცის სიმართლე!

ანუ კიდევ ერთხელ იმაზე, თუ ვინ რა იღვაწა და ვის რა ბრალი მიუძღვის აფხაზეთის ტრაგედიაში! ⑥ ⑦

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

მიმდინარე წლის 27, 28 სექტემბერს თბილისში გაიმართება II საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, რომელიც ეძღვნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავს. სხდომები ჩატარდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კონგრესის მონაწილეთა (მომხსენებელთა) რეგისტრაცია:
26 სექტემბერს, 09[00]-17[00] საათზე.

(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რუსთაველის გამზ. № 52, III სართული, ბიბლიოთეკის დარბაზი)

27 სექტემბერს, 09[00]-10[00] საათზე.

(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რუსთაველის გამზ. №52, V სართული, სხდომათა დარბაზის ფოიე)

კონგრესის გახსნა
27 სექტემბერს, 10[00] საათზე

(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რუსთაველის გამზ. № 52, V სართული, სხდომათა დარბაზი)

ეროვნული ბანკის ახალი გადაწყვეტილება

პირი, რომელსაც ერთზე მეტი საცხოვრებელი არ ექნება, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის აღებას 1 ნოემბრიდან ვეღარ შეძლებს.

ალნიშნული რეგულაცია ნოემბრიდან მხოლოდ კომერციულ ბანკებს, 2019 წლის 1 იანვრიდან კი ყველა სესხის გამცემ სუბიექტს შეეხება.

ამის შესახებ „ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ“ ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ დებულებაშია აღნიშნული. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული დებულების სამუშაო ვერსია სებ-მა რამდენიმე თვის წინ გამოაქვეყნა და მისი ამოქმედება ყველა სესხის გამცემი სუბიექტისთვის 2019 წლის 1 იანვრიდან იგეგმებოდა.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე კი სებ-ის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ განაცხადა, რომ რეკომენდაციების მიღების შემდეგ ამ დებულების საბოლოო ვერსია ჩამოყალიბდა, ხოლო მასში გაწერილი რეგულაციების ამოქმედების თარიღმა კომერციული ბანკებისთვის გადმოიწია და მისი თქმით, ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილება კომერციულ ბანკებს 1 ნოემბრიდან მოუწევთ.

დოკუმენტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ მსესხებელს (თანამსესხებელს) შემოსავალი არა აქვს და არც მისი გადამხდელუნარიანობის ანალიზია ჩატარებული, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის მიღებას ვერ შეძლებს, თუ მსესხებელს (თანამსესხებელს) ერთზე მეტი საცხოვრებელი უძრავი ქონება არ ექნება.

ირაკლი კობახიძე: საქართველოს პარლამენტის გაძლიერებისთვის ბევრი რამ უნდა გაკეთდეს

საქართველოს პარლამენტის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერებისთვის ბევრი რამ უნდა გაკეთდეს და მზად ვართ, ამ მიმართულებით ჩვენს მეგობარ პარლამენტებთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პარლამენტის აპარატების უფროსების სამუშაო შეხვედრაზე განაცხადა.

ირაკლი კობახიძემ ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა. პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, აღნიშნული ფორმატი კარგი შესაძლებლობაა საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების გასაძლიერებლად და ქვეყნების დემოკრატიულ განვითარებაში წვლილის შესატანად.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების პარლამენტების აპარატების ხელმძღვანელების შეხვედრა შესანიშნავი შესაძლებლობაა იდეების გასაცვლელად, პარლამენტებს შორის კავშირების გასაძლიერებლად და ჩვენი ქვეყნების დემოკრატიულ განვითარებაში მეტი წვლილის შესატანად“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. ირაკლი კობახიძის თქმით, ღია მმართველობის პარტნიორობის თავმჯდომარეობის 1 წლის განმავლობაში, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შესაძლებლობების გასაძლიერებლად ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა, რჩება გამოწვევები.

ირაკლი კობახიძემ მხარდაჭერისთვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას მადლობა გადაუხადა. ინიციატივის მხარდაჭერისა და პერსონალური წვლილისთვის პარლამენტის თავმჯდომარემ, ასევე, მადლობა საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს გივი მიქანაძეს გადაუხადა. ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება აღნიშნული ფორმატის მნიშვნელობაზე და სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს ნაყოფიერი დისკუსია უსურვა.



ფინანსთა მინისტრისა და ახალი ელჩის გაცნობითი შეხვედრა

ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ჰუბერტ კნირშს შეხვდა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ივანე მაჭავარიანმა ელჩს მიულოცა ახალ თანამდებობაზე დანიშვნა, წარმატება უსურვა მომავალ საქმიანობაში და გამოთქვა იმედი, რომ მისი ელჩობის პერიოდში საქართველო-გერმანიის მეგობრული და მჭიდრო ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება.

მხარეებმა ძირითადად ისაუბრეს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე, ასევე გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტების მნიშვნელობაზე, რომელიც საქართველოში გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მეშვეობით ხორციელდება.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ანგელა მერკელის საქართველოში ვიზიტის მნიშვნელობას და აღინიშნა, რომ ის ხელს შეუწყობს ქართულ-გერმანული ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცებას და ახალ დონეზე გადასვლას.

ევროკავშირის პროგრამებიდან მაქსიმალური შედეგი უნდა მივიღოთ

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია საქართველოში ევროკავშირის ელჩს კარლ ჰარცელს შეხვდა, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე 2018 წლის სექტემბერში დაინიშნა. შეხვედრაზე მინისტრმა მადლობა გადაუხადა ევროკავშირს საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში მხარდაჭერისთვის, აგრეთვე ევროკავშირის ურყევი პოზიციის გამო საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის მიმართულებით.

შეხვედრაზე აღინიშნა ის პროგრესი საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომელიც არსებობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შემდეგ. ითქვა, რომ ევროკავშირის ბაზართან დაახლოების მიზნით გატარებული რეფორმების წყალობით, ბოლო პერიოდში ზრდადი დინამიკა აქვს საქართველოს ექსპორტს ევროკავშირში. აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მომავალშიც განაგრძობს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ რეფორმებს, მათ შორის განაგრძობს DCFTA-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში რეფორმების განხორციელებას. ინფორმაციისთვის: 2018 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში საქართველოს ექსპორტმა ევროკავშირში 12 პროცენტამდე მოიმატა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ უახლოეს პერიოდში გაიმართება კიდევ ერთი შეხვედრა გაფართოებული ფორმატით ევროკავშირის საელჩოს ხელმძღვანელ პირებთან, სადაც განხილული იქნება ევროკავშირის მონაწილეობით მიმდინარე და დაგეგმილი ყველა პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც ფინანსურ, ასევე ტექნიკურ დახმარებას.

გახარია ფიჯის რესპუბლიკის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების მინისტრს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია ფიჯის რესპუბლიკის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების მინისტრს რატუ ინოქე კუბუაბოლას და დელეგაციის სხვა წევრებს შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფიჯის რესპუბლიკის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს შორის საპოლიციო თანამშრომლობის შესახებ". აღნიშნული ხელს შეუწყობს მხარეთა შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის გაძლიერებას სხვადასხვა მიმართულებით.

გიორგი გახარიამ სტუმრებს ინფორმაცია მიაწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო საქმიანობის, განხორციელებული რეფორმებისა და პრიორიტეტების შესახებ. **„ჩვენ ვაღრმავებთ ურთიერთობას, შეხვედრაზე ხაზგასმით აღვნიშნეთ არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერის მნიშვნელობა და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა, რაზეც მადლობა გადავუხადეთ კოლეგას და დავსახეთ გეგმები, როგორ გავაგრძელებთ ამ მიმართულებით ერთობლივად მუშაობას საერთაშორისო პლატფორმებზე“,** – განაცხადა გიორგი გახარიამ. დელეგაციის წევრები საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრსაც ეწვივნენ. საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრის გარდა, ასევე დაგეგმილია ფიჯის რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტი მომსახურების საგენტოში, ერთობლივი ოპერაციების ცენტრსა და გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში.

საქართველო უსაფრთხო ქვეყნების საუკეთესო ხუთეულშია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის კახა ქემოკლიძის თქმით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის დანაშაულისა და უსაფრთხოების ინდექსით უსაფრთხო ქვეყნების საუკეთესო ხუთეულში მოხვდა.

მისი თქმით, ნუმბეო მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი და გავლენიანი კვლევითი პორტალია, რომლის 2018 წელს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, საქართველომ მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის დანაშაულისა და უსაფრთხოების ინდექსით მეშვიდე პოზიციიდან მეხუთე ადგილზე გადმოინაცვლა და, შესაბამისად, უსაფრთხო ქვეყნების საუკეთესო ხუთეულში მოხვდა.

ამავე კვლევის მიხედვით, დაწინაურებულია ქალაქი თბილისიც, რომელმაც მე-19 პოზიციიდან მე-16 ადგილზე გადმოინაცვლა.

ნორმალურია ის, რომ მსურს უვადოდ გავხდე მოსამართლე

მიზანშეწონილია, იცოდე შენს კარიერას რა ბედი ელოდება ერთი-ორი წლით ადრე, – ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი მიქაუტაძემ საბჭოს არამოსამართლე წევრის ნაზი ჯანეზაშვილის განცხადების საპასუხოდ განაცხადა.

„ის, რომ უვადოდ მსურს გავხდე მოსამართლე, ეს ნორმალურია. 10-წლიანი ვადა ნელ-ნელა იწურება და მაქვს სურვილი, რომ გავაგრძელო ჩემი კარიერა სასამართლო სისტემაში. მე ვარ საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და მაქვს პრეტენზია, რომ გადავინიშნო მოსამართლედ უვადოდ. ამის ერთადერთი საშუალება არის კონკურსში მივიღო მონაწილეობა. მიზანშეწონილია, იცოდე შენს კარიერას რა ბედი ელის ერთი-ორი წლით ადრე“, – განაცხადა გიორგი მიქაუტაძემ.

თაღლითი გია თვალავაძეს წამალი ჩაუშსამდა!

ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნის დაკავებასთან დაკავშირებით სუს-ი განცხადებას ავრცელებს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ე.წ. „სააფთიაქო ნარკომანიის“ სფეროში ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო ბრუნვის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი **გია თვალავაძე** დააკავეს. ასევე, ბრალდებულის სახით დაკავებულები არიან უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში ჩართული საქართველოს მოქალაქეები: **ნინო კ., ძეთევან ჩ., ლაშა ჩ., ნინო გ. და ნათელა მ.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ თბილისსა და გორში მდებარე 15 სააფთიაქო დაწესებულებაში უკონტროლოდ ხორციელდებოდა ფსიქოტროპული საშუალებების რეალიზაცია. აღნიშნული აფთიაქების დირექტორები და ფაქტობრივი მფლობელები მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, უკანონოდ ახორციელებდნენ სამეწარმეო საქმიანობას. კერძოდ, უნებართვოდ და სანებართვო პირობების უხეში დარღვევით, შესაბამისი რეცეპტის გარეშე ახდენდნენ ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეალიზაციას, რითაც დიდი ოდენობით შემოსავალს იღებდნენ.

„თავის მხრივ, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ხელმძღვანელი გია თვალავაძე ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, არ ახდენდა შესაბამის რეაგირებას „ცხელ ხაზზე“ შესულ შეტყობინებებზე, რომელიც შეეხებოდა აღნიშნული აფთიაქების მიერ სხვადასხვა დასახელების ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეცეპტის გარეშე რეალიზაციას, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ჯამში პასუხისგებაში მისცეს 20 პირი, რომელთა მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და ფსიქოტროპული საშუალებების ურეცეპტოდ რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა საერთო ჯამში შეადგინა 4 094 709 ლარი“, — ნათქვამია უწყების განცხადებაში.

გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ჯგუფურად ჩადენილი უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტებზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის 1 ნაწილით და 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

ეს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია!

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2017 წელს 4,2 მილიონი ლარის პრემია-დანამატი გაიცა!

აუდიტის სამსახურმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2017 წელს გაწეული ხარჯების შემოწმების შედეგად აღმოაჩინა, რომ უწყებაში 4,2 მილიონი ლარი პრემია-დანამატების სახით არის გაცემული. ეს თანხა სამინისტროში სხვადასხვა პოზიციებზე ვაკანსიების არსებობამ წარმოქმნა, რომელიც უწყებამ პრემია-დანამატებისთვის გახარჯა. აუდიტის სამსახურის დასკვნის მიხედვით, აღნიშნული ფინანსური რესურსის გამოთავისუფლება სამინისტროს მიერ ბიუჯეტის არასწორად დაგეგმვის შედეგია.

„სამინისტროს და მის დაქვემდებარებულ უწყებებში (გარდა კოლეჯების,რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების) თანამდებობრივი სარგოს ნაწილში დამტკიცებული საბიუჯეტო პარამეტრი 2,878.62 ათასი ლარით აღემატება საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ სახელფასო ფონდს. მოცემულ შემთხვევაში საბიუჯეტო პარამეტრი და მისი დაგეგმვის საფუძველი არსებითად განსხვავებულია, რამაც ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ხარჯის აღნიშნულ მუხლში წარმოშვა ეკონომიის შესაძლებლობა. ამასთან, საშტატოს ნუსხის შესაბამისად განსაზღვრული სახელფასო ფონდის მოცულობა 1,341.74 ათასი ლარით აღემატება ამ მუხლის მიხედვით საკასო ხარჯს (ფაქტობრივ შესრულებას). ამ ნაწილში ეკონომია თავის მხრივ განაპირობა ცალკეულ საშტატო პოზიციებზე ვაკანსიების არსებობამ, რომელიც წლების განმავლობაში არსებული არაოპტიმალური საშტატო სტრუქტურის შედეგია. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო წლის განმავლობაში თანამდებობრივი სარგოს მუხლში წარმოქმნილმა ჯამურმა ეკონომიამ შეადგინა 4,220.36 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნა შრომის ანაზღაურების სხვა ფორმის — პრემია-დანამატების დაფინანსებაზე“, — წერია აუდიტის დასკვნაში.

როგორც აუდიტის სამსახურის ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული ანგარიშებიდან ჩანს, ანალოგიური პრაქტიკა სხვა სახელმწიფო სტრუქტურებშიც მოქმედებს. ისევე როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, არასწორად დაგეგმილი საშტატო ნუსხის და შესაბამისად შეუვსებელი ვაკანსიების გამო გამოთავისუფლებულ თანხებს პრემია-დანამატებისთვის იყენებენ ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებშიც.

ნონა ქვლივიძე

პრემია-დანამატებს შსს-შიც ვერ ელევიან

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2017 წელს, 5 432 653 ლარის პრემია და 22 564 715 ლარის დანამატი გასცა ანგარიშის თანახმად, ასევე გაცემულია 3 573 313 ლარის სპეციალური დანამატი.

„სამინისტროს თანამშრომლებისათვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით დაწესებულია დანამატები მრავალშვილიან მოსამსახურეებზე და წელთა ნამსახურობაზე. დანამატები გაიცემა აგრეთვე საკლასო ჩინისათვის. ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობით, შსს-ს თანამშრომლებს შესაძლებელია დაეინიშნოთ სპეციალური დანამატები, რომელსაც ნიშნავს მინისტრი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით. სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატით განსაზღვრულ თანამშრომლებზე, 2017 წელს „დანამატის“ ქვემუხლით გაწეულმა საკასო ხარჯმა 22,564.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც შრომის ანაზღაურების საერთო მოცულობის 19.9%-ს შეადგენს. მათ შორის, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე დანიშნული სპეციალური დანამატების სახით, 162 თანამშრომელზე გაცემულია 3,573.3 ათასი ლარი.

2017 წელს, საშუალოდ, 70-80 თანამშრომელს ჰქონდა დანიშნული თანამდებობრივ სარგოზე მეტი დანამატი (თუმცა 2016 წელთან შედარებით, ცალკეულ თანამდებობის პირებისთვის დანიშნული სპეციალური დანამატების ოდენობები შემცირებულია). სპეციალური დანამატის დაწესების შესახებ გამოცემულ ბრძანებებში მითითებული იყო მხოლოდ დანამატის დაწესების თარიღი და არ იყო განსაზღვრული, თუ რა პერიოდით იქნა დაწესებული აღნიშნული დანამატი. შედეგად, დანამატი ინიშნებოდა განუსაზღვრელი ვადით და მისი გაუქმება ხდებოდა ასევე ბრძანების საფუძველზე. შესაბამისი ბრძანებებით არ იყო დასაბუთებული დანამატის გაცემის აუცილებლობა და ის თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე, უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებდა. სამინისტროს თანამშრომლებზე დანამატების დანიშვნის საკითხი არ თანხმდებოდა სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტთან, რის გამოც მას არ გააჩნდა საკმარისი საფუძვლები ამ მუხლის სწორად დასაგეგმად“, — აღნიშნულია აუდიტის სამსახურის ანგარიშში.

ამავე ანგარიშის თანახმად, 2017 წელს, სამინისტრომ თანამდებობრივი სარგოს სახით 83 622 136 ლარი გასცა, წოდებრივი სარგოსთვის კი — 20 073 833 ლარი.

ვანო მერაბიშვილი არავის მოუწამლავს!

სპეციალური პენიტენციური სამსახური ვანო მერაბიშვილის დიაგნოზს ასაჯაროებს

სპეციალური პენიტენციური სამსახური კატეგორიულად უარყოფს მსჯავრდებულ ივანე მერაბიშვილის ადვოკატის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა და მას ინტოქსიკაციის ნიშნები აქვს.

უწყების ინფორმაციით, მსჯავრდებულს დიაგნოზი დაესვა და შესაბამისი მკურნალობა აქვს დანიშნული, რომელსაც პენიტენციური დაწესებულების მედპერსონალი უზრუნველყოფს.

„ივანე მერაბიშვილი რამდენჯერმე იქნა გადაყვანილი მასთან შეთანხმებით შერჩეულ სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მას ჩაუტარდა ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციები და შესაბამისი ინსტრუმენტული და მაღალტექნოლოგიური გამოკვლევები. კერძოდ: ოტო-რინოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, ნევროლოგის კონსულტაციები და შესაბამისი გამოკვლევები; მათ შორის, თავის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა ანგიოგრაფიულ რეჟიმში, კისრისა და ხერხემლის სვეტის მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა, გულ-მკერდის და დანამატი წიაღების რენტგენოგრაფია, რინოსკოპია, ოფთალმოსკოპია.

რაც შეეხება დიაგნოზს, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე და ყოველგვარი პოლიტიკური სპეკულაციების თავიდან აცილების მიზნით, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, დიაგნოზი გასაჯაროვდეს. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, მსჯავრდებულს დაუდგინდა დიაგნოზი: ვაზომოტორული რინიტი; ჰორნერის სინდრომი (მარჯვნივ), ბლეფარო-კონიუნქტივიტი“, — ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

◎ მეგობარო, მომე ხელი!

ყაზახეთის სატრანზიტო პოტენციალი და ინტერესი კავკასიისადმი იზრდება

საქართველოს პარტნიორი სახელმწიფო ყაზახეთი მზარდად განვითარებადი, ძლიერი სახელმწიფოა, რომელიც საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენს კავკასიის რეგიონისადმი და, კერძოდ, საქართველოსადმი. აქამდე საქართველოში არ ჩატარებულა საექსპერტო განხილვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქართულ-ყაზახურ ურთიერთობებს რეგიონისათვის და ჩვენი ქვეყნისათვის. ამიტომ პოლიტიკისა და ეკონომიკის ექსპერტთა ერთმა ჯგუფმა პირველი ასეთი განხილვა მოაწყო. აქცენტი გაკეთდა ყაზახეთის სატრანზიტო პოტენციალზე, რაც საქართველოს სატრანზიტო მისწრაფებების გათვალისწინებით დღეს განსაკუთრებულად აქტუალურია.

თბილისის ღია უნივერსიტეტში გამართულ განხილვაზე მოხსენებებით წარსდგნენ ექსპერტები, პროფესორები და დოქტორები, **იოსებ არჩვაძე, გულბაათ რცხილაძე, აკაკი (მამუკა) კარტოზია, დემურ გიორხელიძე, ვახტანგ ჭარაია, ბადრი ნაჭყებია** და სხვები. განხილვა ორ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა და მის ფარგლებში აღნიშნულ იქნა ყაზახეთის განვითარებისა და კავკასიის რეგიონისადმი მისი დაინტერესების სხვადასხვა ასპექტები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდით (502 მლრდ. აშშ დოლარი – მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით) **ყაზახეთი მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის 42-ე ადგილზე დგას.** თვალსაჩინოებისათვის შეიძლება იმის თქმა, რომ ეს მაჩვენებელი ძალზე ახლოსაა შვეიცარიის მშპ-ის სიდიდესთან, აღემატება ჩილესა და ავსტრიის ანალოგიურ მაჩვენებლებს, ხოლო ისრაელისას – 1.5-ჯერ და მეტად.

ჩინელი და ყაზახი ექსპერტების ზოგიერთი გათვლის თანახმად, ყაზახეთს ყოველწლიურად შეუძლია ჩინეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან ევროპისკენ და უკან მომავალი სატრანსპორტო ნაკადის 20%-ის გატარება. ფულად გამოხატულებაში ეს მიმართულება დაახლოებით 400 მილიარდ დოლარს შეადგენს. თუმცა მოსახლეობის სიმეჩხერე და ქვეყნის ტერიტორიის სიდიდე ყაზახეთის ეკონომიკას სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მდგომარეობაზე დამოკიდებულს ხდის. გამომდინარე აქედან, ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფისათვის, 2013 წლის ბოლოს მიღებულ იქნა „ყაზახეთის რესპუბლიკის სატრანსპორტო სისტემის ინფრასტრუქტურის 2020 წლამდე განვითარებისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა“. ამჟამად ეს სტრატეგია იმყოფება თავისი რეალიზების მესამე და ბოლო ეტაპზე. ყაზახეთის ინფრასტრუქტურა სატრანსპორტო სტრატეგიის მეშვეობით, ასევე ახალი ეკონომიკური პროგრამების – „ნურლი ჟოლისა“ და „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ წყალობით, უკვე 70%-იან მზადყოფნაშია.

2005-2016 წლებში ყაზახურმა კომპანიებმა საქართველოს ეკონომიკაში 343 მილიონი დოლარის ინვესტირება განახორციელეს, ამ მაჩვენებლის ზრდის ტენდენციით. საქართველოს პრეზიდენტის მიღებაზე ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა განაცხადა: „ჩვენი ურთიერთობები ყოველთვის კარგი იყო. ყაზახეთი და საქართველო დამოუკიდებლობის პირველ წლებში ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ჩვენ თქვენი ეკონომიკის წამყვან ინვესტორთა შორის ვართ. მე ვერ ვხედავ მიზეზს საიმისოდ, რომ ამ ურთიერთობებს რაიმე დაბრკოლება შეექმნას“.

გულბაათ რცხილაძე

ბიზნეს-ფორუმის ფართო თვალსაწიერი

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ყაზახეთის საერთაშორისო ვაჭრობის პალატის ორგანიზებით თბილისში საქართველო-ყაზახეთის ბიზნეს-ფორუმი გაიმართა.

ღონისძიების მიზანი საქართველოსა და ყაზახეთის ბიზნეს-სექტორებს შორის კომუნიკაციის დამყარება და ამ გზით ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობა იყო. ფორუმის ფარგლებში გაიმართა ბიზნესის ორმხრივი შეხვედრები ქართულ და ყაზახურ კომპანიებს შორის.

ღონისძიებაში მონაწილეობა 10-მდე მსხვილმა ყაზახურმა კომპანიამ მიიღო. ყაზახეთის ბიზნეს-დელეგაციის წევრი კომპანიები წარმოადგენდნენ შემდეგ სფეროებს: საგზაო ინფრასტრუქტურა, ქიმიური მრეწველობა, სამთო მრეწველობა, ელექტრო მოწყობილობების წარმოება, კომერციული აღჭურვილობების გაყიდვა და სხვ.

ფორუმის პირველ ნაწილში ყაზახური დელეგაციისთვის გაიმართა პრეზენტაციები საქართველოს სატრანზიტო და ლოგისტიკური პოტენციალის შესახებ. ასევე, ქართული ღვინის, სოფლის მეურნეობის სექტორის საინვესტიციო პოტენციალისა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის შესახებ.

2018 წლის იანვარ-ივლისის მონაცემებით, სავაჭრო ბრუნვა საქართველოსა და ყაზახეთს შორის წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 67%-ით და განისაზღვრა 77 მლნ. აშშ დოლარით, რამაც შეადგინა საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 1,1%. კონკრეტულად: ექსპორტი გაიზარდა 29%-ით და განისაზღვრა 39,8 მლნ. აშშ დოლარით, რამაც შეადგინა საქართველოს ექსპორტის 2,1%. რეექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში წარმოადგენს 46% და შეადგენს 18,3 მლნ. აშშ დოლარს. იმპორტი კი გაიზარდა 75%-ით და განისაზღვრა 37.2 მლნ. აშშ დოლარით, რამაც შეადგინა საქართველოს იმპორტის 0,7%.

სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა“

5-6 ოქტომბერს, ბათუმი სოფლის ტურიზმის ფესტივალს „განდაგანა“ უმასპინძლებს. ორი დღით, აჭარული სოფლები თავისი ტრადიციებითა და დამახასიათებელი თავისებურებებით ევროპის მოედანზე იქნება წარმოდგენილი, რაც სტუმრებს საშუალებას მისცემს, აჭარულ სოფლებში ქალაქიდან გაუსვლელად იმოგზაურონ.

სოფლის პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა, მხიარული შეჯიბრებები, მასტერკლასები და ფოლკლორ შოუ – მცირე ჩამონათვალია იმ ღონისძიებებისა, რასაც ფესტივალი სტუმრებს სთავაზობს. ორი დღის განმავლობაში, მთიანი აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პროდუქტებით, ხილით, ტკბილეულით, ხელნაკეთი ნივთებითა და ტრადიციებით ბათუმში იქნება წარმოდგენილი. სოფლის ტურიზმის ფესტივალ „განდაგანას“ მიზანი მთიანი აჭარის პოპულარიზაცია და წარმოჩენაა. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება თემატური კუთხეები - ღვინის, რძის პროდუქტების, ხილის, ბოსტნეულის, ტკბილეულისა და ხელნაკეთი ნივთების.

წელს ფასების სეზონური ზრდა უჩვეულოდ ადრე დაიწყო

სამომხმარებლო ბაზრებზე ფასების ზრდა ნაადრევად დაიწყო. როგორც წესი, ეს პროცესი ზამთრის დასაწყისში აქტიურდებოდა, მაგრამ წელს ფასები შემოდგომიდანვე მაღლა წავიდა.

ბაზრებსა თუ ბაზრობებზე მოვაჭრეები რეალიზაციის შემცირებაზე ჩივიან, მომხმარებელი კი გაძვირებული პროდუქტების ძველებურად ყიდვას ვეღარ ახერხებს. მოვაჭრეები ამბობენ, რომ ლარის გაუფასურების გამო იძულებული გახდნენ, ფასები აეწიათ, რადგან მათი სავაჭრო პროდუქცია გაძვირებულია. შედეგად, მოვაჭრეებმა მინიმუმ 5-10%-ით გაზარდეს საქონლის ღირებულება. მდგომარეობა რთულია კომპანიებისთვის. მათი წარმომადგენლები ამბობენ, რომ თავისებურად ჩიხში არიან შესულნი. სადისტრიბუციო კომპანია „გრანდის“ დამფუძნებელი, იმპორტიორი **ივა ჟყონია** ამბობს, რომ ფასების შენარჩუნება უკვე შეუძლებელი ხდება. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ჯერ პირველადი მოხმარების პროდუქტი გაძვირდება, შემდეგ კი ყველანაირი იმპორტირებული საქონლის ფასიც მოიმატებს.

„ფასების თემა უკვე ძალიან მტკივნეული გახდა ქვეყანაში. კურსი მუდმივად იცვლება და სამომხმარებლო ბაზარზე ეს ძალიან მძიმედ აისახება. ლარი უკვე კრიტიკულ ზღვარზეა. თუ ფასები ავწიეთ, მსყიდველუნარიანობა შემცირდება, ამიტომ იძულებული ვართ, რომ მოგების მაჩვენებელი შევაჩეროთ. შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში ნულზეც გავიდეთ. პირველ რიგში, გაძვირდება ყოველდღიური მოხმარების პროდუქტი – შაქარი, ზეთი, წიწიბურა და სხვა“, – ამბობს ჭყონია.

ეკონომიკის ექსპერტი, „თავისუფალი უნივერსიტეტის“ ლექტორი **ზვიად ხორგუაშვილი** ამბობს, რომ ამჟამინდელი ვითარება სამომავლოდაც გაგრძელდება, თუკი ლარის კურსი იქნება ისეთივე მერყევი და სუსტი, როგორიც დღეს არის.

სუსტი ლარის გარდა, ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის გაძვირების უმთავრეს მიზეზად ხორგუაშვილი ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადის ზრდას ასახელებს. მისი თქმით, ჩამოყალიბებული სიტუაცია წარმოშობს პესიმისტურ მოლოდინს და ეს ფაქტორიც დამატებითი მიზეზი ხდება ფასების მეტად ზრდის და ლარის მეტად გაიაფების თვალსაზრისით.

პროფესორი **პაატა არუშიძე** კი ამბობს, რომ შეუძლებელია, ინფლაციის მაჩვენებელმა წლის ბოლოს არ გადააჭარბოს მიზნობრივს. ეროვნული ბანკის მონაცემებით, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3%-ია, თუმცა, სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, ინფლაციამ 3,1%-ს უკვე მიაღწია. არუშიძის აზრით, არსებული მდგომარეობითაც კი ინფლაცია ხელოვნურადაა დაჭერილი არსებულ ნიშნულზე, მაგრამ ამას ვერაფრით მოახერხებენ უახლოეს თვეებში.

„იმპორტდამოკიდებულება, რაც ჩვენ ქვეყანაშია, შემოდგომის ბოლოს და ზამთრის დასაწყისში ისედაც იწვევს ფასების აწევას, ახლა მით უფრო მოიმატებს ღირებულება ასეთი გაუფასურებული ლარის პირობებში. ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ლარის გაუფასურება იყო დროებითი პროცესი და მსოფლიო ვალუტების გაუფასურების ფონზე ერთგვარი ბუფერი იქმნებოდა. თვეზე მეტი გავიდა ამ პროცესის დაწყებიდან და დევალვაცია შეუქცევადად გრძელდება. ამას ემატება ისიც, რომ არავინ განცხადებას არ აკეთებს – არც ცენტრალური ბანკი და არც მთავრობა, რაც მოსახლეობის შიშს უფრო მეტად ზრდის“, – ამბობს არუშიძე.

სამომხმარებლო ფასების ზრდას ადასტურებს „საქსტატის“ ინფორმაციაც. აგვისტოში წლიური ინფლაციის დონემ 3,1 პროცენტი შეადგინა. ძირითადი მიზეზი რამდენიმე ჯგუფში ფასების ზრდაა:

ტრანსპორტი (ფასები გაიზარდა 7,8%), სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (ფასები გაიზარდა 3,2%-ით). მათ შორის გაძვირდა ბოსტნეული და ბაღჩეული (24,7%-ით), ზეთი და ცხიმი (4,4%-ით), ხორცი და ხორცის პროდუქტები (4,3%-ით), თევზეული (3,3%-ით), რძე, ყველი და კვერცხი (2%-ით).

გვანცა გიორგოზიანი

ფასდაუდებელი წვლილი

აკადემიკოს თეიმურაზ ანდრონიკაშვილის გახსენება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პეტრე მელიქიშვილისა და ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემიების ლაურეატს, საქართველოს თავადაზნაურთა საზოგადოების წევრს **თეიმურაზ ანდრონიკაშვილს** დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა.

თ. ანდრონიკაშვილი დაიბადა 1928 წლის 23 ივლისს თბილისში, ძველ თავადაზნაურთა ოჯახში, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ თამარის მეფობის დროს, XII საუკუნეში. 1947 წელს თ.ანდრონიკაშვილმა ოქროს მედალზე დაამთავრა ვაჟთა მეცხრე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე. 1953 წელს ასპირანტურის დამთავრებისთანავე პროფესორ ვ. სოკოლოვის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ქ. მოსკოვში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1958 წლიდან თ. ანდრონიკაშვილმა მეცნიერული მოღვაწეობა გააგრძელა პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში აკადემიკოს გიორგი ციციშვილის ხელმძღვანელობით. უნდა აღინიშნოს რომ თ. ანდრონიკაშვილის ინსტიტუტში მუშაობის დაწყება დაემთხვა სინთეზური ცეოლითების კვლევების განვითარებას, რომელიც მიმდინარეობდა აკადემიკოს გ.ციციშვილის ხელმძღვანელობით. შემდგომში სწორედ იგი ხდება საქართველოში ბუნებრივი და სინთეზური ცეოლითების დარგში სამუშაოების ინიციატორი და ხელმძღვანელი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღნიშნული კვლევების ჩატარებაში.

1972 წელს თ.ანდრონიკაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1979 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს — აკადემიკოსად.

თ. ანდრონიკაშვილი იყო ერთი პირველთაგანი იმ მეცნიერთა შორის, რომელმაც განავითარა ქრომატოგრაფიის დარგი ყოფილ საბჭოთა კავშირში. 1975 წელს თ. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ქრომატოგრაფიის ლაბორატორია.

ფასდაუდებელია ბატონი თეიმურაზ ანდრონიკაშვილის წვლილი საქართველოს მეცნიერების აღმავლობაში. იგი წარმატებით მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებების განვითარებაში, როგორებიცაა ქრომატოგრაფია, ცეოლითების სინთეზი, სინთეზური და ბუნებრივი ცეოლითების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევა, აგრეთვე ბუნებრივი ცეოლითების მასშტაბური გამოყენება სოფლის მეურნეობაში, გარემოს დაცვის პრობლემების გადასაჭრელად. თ. ანდრონიკაშვილი 700-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოგონების ავტორი და თანაავტორია, მათ შორის 10 მონოგრაფიისა ქართულ, რუსულ, ინგლისურ და პოლონურ ენებზე. ეს შრომები იბეჭდებოდა გერმანიაში, პოლონეთში, ჰოლანდიაში, ინგლისში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუსეთში, აშშ-ში, იტალიაში, უზბეკეთში, უკრაინაში, ლატვიაში და ფართოდაა ცნობილი სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

1985 წელს მოსკოვში გამოიცა მონოგრაფია „ბუნებრივი ცეოლითები“ აკად. გიორგი ციციშვილისა და ბულგარელი მეცნიერების: გ. კიროვისა და ლ. ფილიზოვას თანაავტორობით. 1990 წელს ეს წიგნი ითარგმნა და გამოიცა პოლონეთში, ხოლო 1992 წელს მისი ვრცელი ვარიანტი — ინგლისში. წიგნმა ცნობილი სამეცნიერო ჟურნალის „Zeolites“ (ინგლისი, რეცენზენტი კ. ტავერესი) მაღალი შეფასება დაიმსახურა.

თ. ანდრონიკაშვილმა მრავალჯერ ღირსეულად წარმოადგინა ჩვენი ქვეყანა საზღვარგარეთ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ადსორბენტების, ქრომატოგრაფიისა და ანალიზური ქიმიისადმი მიძღვნილ 200-მდე თათბირის, კონფერენციისა და სიმპოზიუმის მუშაობაში.

თეორიისა და პრაქტიკის აზრიანად შერწყმით თ. ანდრონიკაშვილს თავისი კვლევები ყოველთვის მიჰყავდა ორიგინალურ გადაწყვეტამდე და მათ პრაქტიკაში აუცილებელ გამოყენებამდე. მის მრავალ სამუშაოს გამოყენებითი ხასიათი გააჩნია. ესაა ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. განსაკუთრებით საინტერესოა მემცენარეობაში, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში ბუნებრივი ცეოლითების გამოყენების სამუშაოები. ეს სამუშაოები ერთ-ერთი პირველია მსოფლიო პრაქტიკაში. თ. ანდრონიკაშვილის აზრით, სწორედ ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება პასუხობს ყველა იმ ეკოლოგიურ მოთხოვნას, რომელიც წაეყენება ბიოლოგიურ მიწათმოქმედებას.

აკად. თეიმურაზ ანდრონიკაშვილი 30-ზე მეტი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი იყო და თითოეულ დისერტანტთან თავდაუზოგავად მუშაობდა. მან ზუსტად იცოდა, რა თემაზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება, რომ ის მოცემული მომენტისათვის აქტუალური ყოფილიყო. ბ-ნი თეიმურაზი საქართველოში ქრომატოგრაფიული სკოლის ფუძემდებელია და მისი მოწაფეები მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდნენ ამ მიმართულებით, მაგრამ, როდესაც ქვეყანას აღარ ჰქონდა ფუნდამენტური მეცნიერების ფუფუნების საშუალება, ბატონი თეიმურაზის ხელმძღვანელობით ლაბორატორიულ პირობებში დაიწყო კვლევები შხამქიმიკატებით და სინთეზური სასუქებით გამოფიტული ნიადაგების ბუნებრივი ცეოლითებით გაკეთილშობილების საკითხებზე. ეს სამუშაოები დღესაც არ კარგავს აქტუალობას და მისი აღზრდილები წარმატებით აგრძელებენ მუშაობას ამ მიმართულებით.

თ.ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით მზადდებოდა მაღალკვალიფიციური კადრები არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც (უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი). იგი იყო 6 სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო კონსულტანტი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მოწაფეები უკრაინიდან — პროფესორი ო.ბანახი და ქ.მ.კ. ლ.სტრილჩუკი, რომლებმაც უკრაინაში შექმნეს ადსორბციისა და ქრომატოგრაფიის მსხვილი სამეცნიერო ცენტრი.

თ. ანდრონიკაშვილი მრავალი წლის განმავლობაში იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ადსორბციისა და ქრომატოგრაფიის სამეცნიერო საბჭოების ბიუროს წევრი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ადსორბციის სამეცნიერო საბჭოს ცეოლითების სექციის თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ქიმიის სერიის მთავარი რედაქტორი და მთელი რიგი საერთაშორისო და საკავშირო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი. 2006 წლიდან კი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ადსორბციისა და ქრომატოგრაფიის საბჭოს საპატიო წევრი.

სამეცნიერო კვლევით საქმიანობას თ.ანდრონიკაშვილი ნაყოფიერად უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1967 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც 35 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციათა კურსს ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების კურსს ქართველი, რუსი, უკრაინელი, სომეხი და აზერბაიჯანელი პედაგოგებისათვის.

თ. ანდრონიკაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მეცნიერების უანგარო სამსახურის ნათელი მაგალითია. მეცნიერულმა ერუდიციამ, ორგანიზატორულმა ნიჭმა, თავმდაბლობამ, სულიერმა სიკეთემ მოუპოვა მას უდიდესი ავტორიტეტი საქართველოს, ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში. იგი უკანასკნელ წუთამდე დაუშრეტელი ენერგიით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გურჯაანში წიპწის ზეთის გადამმუშავებელი პირველი საწარმო გაიხსნა

საწარმო, რომელშიც ერთი მილიონი ლარის ინვესტიცია უკრაინულმა კომპანიამ „ეკოჯორჯიან გრუპმა“ განახორციელა, თანამედროვე სტანდარტების უცხოური წარმოების მანქანა-დანადგარებითაა აღჭურვილი.

საწარმოს გახსნის ღონისძიებას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი შიოშვილი და გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი დავით სონღულაშვილი დაესწრნენ.

ლევან დავითაშვილის განცხადებით, ყოველი ახალი საწარმოს გახსნა და ქვეყანაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები რეგიონის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. კახეთის რეგიონისთვის წიპწის გადამმუშავებელი საწარმოს გახსნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ხარისხის კონტროლის მიმართულებით ბოლო წლებში მიღებული გადაწყვეტილებების ფონზე.

„2014 წლიდან ჩვენ მივიღეთ სტრატეგიული გადაწყვეტილება და დავიწყეთ იმ გამოწნეხილი მასის მკაცრი კონტროლი, რომელიც ყურძნის გადამუშავების შემდეგ რჩება. საწარმოებიდან მიღებული ეს მასა, ანუ ჭაჭა, მრავალი წლის განმავლობაში მეორადი წარმოების, ანუ ღვინის ფალსიფიკაციის წყარო იყო, ეს ღვინო კი, ძირითადად, ადგილობრივ ბაზარზე იყიდებოდა. საწარმოდან ჭაჭის გატანა და ფიზიკურ პირებზე გადაცემა უკვე რამდენი წელია შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, ღვინის საწარმოები ყურძნის დაწურვის შემდეგ დარჩენილ ჭაჭას ანადგურებენ, რაც საკმაოდ გარკვეულ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ახლადგახსნილ საწარმოში კი, ჭაჭის მასის გადამუშავებით, ბიოლოგიურად სუფთა პროდუქცია მიიღება“, — აღნიშნა მინისტრმა.

მიმდინარე წელს საწარმოში დაგეგმილია 3 ათასი ტონა ყურძნის ჭაჭის მიღება-გადამუშავება, საიდანაც მიღებული იქნება 55-60 ტონამდე ყურძნის წიპწის ზეთი და წიპწის ფქვილი. პროდუქცია ამ ეტაპზე მთლიანად საექსპორტოდაა განკუთვნილი და რეალიზაციასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები თურქ და ესპანელ პარტნიორებთან მიმდინარეობს.

საწარმოში მუდმივად დასაქმებული იქნება 25-მდე ადგილობრივი, ხოლო სეზონურად (აგვისტო-ნოემბერი) დასაქმებულთა რაოდენობა გაიზრდება.

მევენახეების შემოსავალმა 204 მლნ ლარს გადააჭარბა

24 სექტემბრის მონაცემებით, კახეთში 142 ათასამდე ტონა ყურძენი გადამუშავდა, მევენახეების შემოსავალმა 204 მლნ ლარს გადააჭარბა.

რთვლის საკოორდინაციო შტაბის უფროსის, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ანდრო ასლანიშვილის ინფორმაციით, კახეთში ყურძნის მოსავლის ძირითადი ნაწილი უკვე დაბინავებულია.

„კახეთის რეგიონში 214 ღვინის კომპანიის მიერ გადამუშავებულია 142 ათასი ტონა ყურძენი. შეიძლება ითქვას, რომ ყურძნის მოსავლის დიდი ნაწილი უკვე დაბინავებულია. ყურძენი ღვინის კომპანიებს 15 ათასმა მევენახემ ჩააბარა, რომელთა შემოსავალმა 204,2 მლნ ლარი შეადგინა. უკვე შეიძლება ითქვას, რომ კახეთის რეგიონისთვის რთველი-2018 იყო წარმატებული. ყურძნის კრეფა კახეთში კვლავ გრძელდება და უახლოეს დღეებში რთვლის სამზადისი უკვე რაჭის რეგიონში დაიწყება“ — აღნიშნა ანდრო ასლანიშვილმა.

კახეთში ყველაზე დიდი რაოდენობით ყურძენი გადამუშავდა გურჯაანის მუნიციპალიტეტში — 41,3 ათასი ტონა, შემდეგ მოდის: ყვარელი — 40 ათასი ტონა, თელავი — 31 ათასი ტონა, სიღნაღი — 12 ათასი ტონა, საგარეჯო — 5 ათასი ტონა, დედოფლისწყარო — 4,7 ათასი ტონა, ახმეტა — 4,2 ათასი ტონა და ლაგოდეხი — 3,8 ათასი ტონა.

მთლიანად გადამუშავებული ყურძნიდან 66,5 ათასი ტონა საფერავი, 56,8 ათასი ტონა რქაწითელი, 2,7 ათასი ტონა კახური მწვანე და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორს

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა წერილს ბატონ ნაპო მესხიას შესახებ დაურთოთ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემდეგი მინაწერი: როგორც წინამდებარე წერილში გაშუქებული ტრაგიკული მოვლენების თვითმხილველნი და უშუალო მონაწილენი, ვადასტურებთ ბატონ ნაპო მესხიას განსაკუთრებულ პიროვნულ დამსახურებას და ძალისხმევას, რომელიც მიმართული იყო ქართულ-აფხაზური დაპირისპირების შერბილებისკენ და ძმათამკვლელი ომის თავიდან აცილებისკენ. ომის დროს და მის შემდეგაც მას არაერთგზის გამოუნახავს აფხაზურ მხარესთან შეთანხმებით კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისა და დევნილი მოსახლეობის მასობრივი და უსაფრთხო დაბრუნების გზები, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, რევანშისტულმა ძალებმა ჩაშალეს.

ერთგულნი ვრჩებით რა საიუბილეო წერილში აღბეჭდილი მოსაზრებებისა, მხარს ვუჭერთ ბატონ ნაპოს როგორც ადრინდელ, ისე დღევანდელ აქტიურ სამშვიდობო მოღვაწეობას, ვიზიარებთ მისი საყოველთაოდ ცნობილი პროფესიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის იმ მაღალ შეფასებას, რომელიც მოცემულია საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლების წერილში. ამასთანავე, ვგმობთ და ვემიჯნებით ბოლო პერიოდში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მის წინააღმდეგ გაკეთებულ და ამავე წერილში დამაჯერებლად დაგმობილ პუბლიკაციებს.

დარწმუნებული ვართ, ბატონი ნაპო ყურადღებას არ მიაქცევს არაკეთილმოსურნეთა გამოხდომებს და მისთვის ჩვეული სიბრძნით, წინდახედულობით გააგრძელებს თავის კეთილშობილურ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები:

ზოთა ხეცურიანი, აპაკი გასვიანი, ჯემალ გამახარია, მურმან კვარაცხელია, ჯემალ საჯაია, როსტომ შამუგია, ზურაბ ჯგუბურია, თამაზ ხუბუა“.

ხალხი სულ სხვა აზრისაა: ხალხმა იცის სიმართლე!

ანუ კიდევ ერთხელ იმაზე, თუ ვინ რა ილვაწა და ვის რა ბრალი მიუძღვის აფხაზეთის ტრაგედიაში!



ამა წლის 28 მაისს 80 წელი შეუსრულდა ჩვენს თვალსაჩინო თანამედროვეს, ღვაწლმოსილ დასტაქარსა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ნაპო მესხიას.

ბატონი ნაპოს საიუბილეო თარიღი არ გამორჩენიათ მის კოლეგებსა და მეგობრებს. საზოგადოება „ზუგდიდელმა“ და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს უდიდესმა ნაწილმა მიუძღვნა ამ თარიღს პუბლიკაციები სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკაში“, „საქართველო და მსოფლიოში“, „ილორში“, „ეგრისის მაცნეში“ და სხვა გაზეთებში. საიუბილეო საღამოს ორგანიზატორებს სურდათ, ეს თარიღი უფრო ფართოდ აღენიშნათ, შეარჩიეს კიდეც დარბაზი ქ. ზუგდიდში, გამომსვლელებიც ცნობილი იყვნენ, მაგრამ ბატონმა ნაპომ ქვეყნისა და განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სულიერი და გაუსაძლისი სოციალური მდგომარეობის ფონზე, საკუთარი იუბილეს პომპეზურად აღნიშვნა მიზანშეუწონლად მიიჩნია.

საკუთარი ცხოვრებისეული ტრაგიკული მოვლენებიც არ უქმნიდა მას განწყობას საამისოდ. ამდენად, საიუბილეო თარიღის შესახებ საზოგადოებამ გაიგო ოდნავ გვიან, პრესის მეშვეობით. პრესიდან ისიც გახდა ცნობილი, თუ როგორ შეხვდა ბ-ნი ნაპოს საიუბილეო თარიღს და მისი პიროვნებისადმი მიძღვნილ საგაზეთო წერილებს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრთა მცირე ჯგუფი. მხედველობაში გვაქვს ბატონ მჟავიას მიერ „საქართველოს რესპუბლიკაში“ „ფაბრიკაციის“ სახელწოდებით გამოქვეყნებული ნამდვილი ფაბრიკაცია, სადაც იგი გვამცნობს, რომ **„ჩვენ, ქართველებს, გვჩვევია საზოგადოდ და არ ვერიდებით ადამიანთა საქმიანობის, მათი პიროვნული ღირსებების, რბილად რომ ვთქვათ, გაზვიადებულად წარმოჩენას“;** მიმდინარე წლის 30 მაისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№114) გამოქვეყნებულ **წერილს კი, რომელიც ბატონ ნაპო მესხიას ეძღვნებოდა, ესეს ჟანრში გადაწყვეტილი უწოდა.** სხვისი კარნახით დაწერილი ბატონი მჟავიას ფაბრიკაცია იმდენად იმსახურებს ყურადღებას, რამდენადაც იგი წარმოადგენს მის „თანამოაზრეთა“ მიერ ადრე წამოწყებული დაპირისპირების ერთგვარ გაგრძელებას. იგულისხმება ამავე გაზეთში 2017 წლის 28 დეკემბერს (№262) რუბრიკით **„სიმართლე კი ასეთია“** გამოქვეყნებული აბსურდული და სამარცხვინო „თხზულება“ სათაურით „როცა შენიანი ძირს გითხრის!“. მკითხველმა უთუოდ ნახა, იყო თუ არა გადაჭარბებულად შეფასებული ბატონი ნაპოს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ წერილში მისი მოღვაწეობა, როდესაც კოლეგები, უმაღლესი საბჭოს 11 წევრი უწოდებს მას **„ღვაწლმოსილ დასტაქარს, გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეს და ჭეშმარიტ ერისკაცს“ და რამდენად სწორია ბატონი მჟავია, რომელიც თავიდან იყო იმ დეპუტატთა შორის, ვინც ბატონი ნაპოს მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა, მაგრამ ბოლოს, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო თავის დროზე უმაღლესი საბჭოს „მილიტარისტული“ ფრთის (გ. ლომინაძე, გ. გვაზავა, რ. ქარაია და სხვ.) წნეხს და ოფიციალურად უარყო თავისი ხელმოწერა, ხოლო საიუბილეო წერილს ფაბრიკაცია უწოდა.**

ამასთან ერთად, ჩვენ ქალბატონ ქარაიას წერილზეც გვსურს ყურადღების გამახვილება! მის წერილს წინ უძღოდა გამაოგნებელი ფაქტი. როცა ბატონი ნაპო თავის წიგნში „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“ მკაცრად აკრიტიკებს ამ ქალბატონის სამარცხვინო და რეალობას მოკლებულ ბრალდებებს, ქარაგმულად მიმართავს მას შექსპირის (ივანე მაჩაბლისეული) სიტყვებით: **„არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!“** ეტყობა, ამან ძალიან გააღიზიანა ეს ქალბატონი და მისი ჯგუფის რჩევით, სარჩელი შეაქვს სასამართლოში ბატონი ნაპოს წიგნში მოტანილი ცალკეული ფაქტების უარყოფის მოთხოვნით. სწორედ აქედან იწყება ამ ქალბატონის გაუგონარი და გამაოგნებელი ქმედებები: სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო (მოსამართლე ლელა ცანავა) ქალბატონ რაისა ქარაიას (!) ხელში აძლევს (!) უწყებას ბატონი ნაპოს სასამართლოში გამოცხადების შესახებ. **ქალბატონი რაისა ამ უწყებას აბარებს საკუთარ ადვოკატს, ვინმე გია წუწუნავას, რომელმაც იგი 2017 წლის 10 აპრილს უმაღლესი საბჭოს მთავარ სპეციალისტს ნინო ასრათაშვილს გადასცა. იმავე დღეს ქ-ნი ასრათაშვილისაგან ადვოკატი წუწუნავა იღებს ოფიციალურ საბუთს იმის შესახებ, რომ მოპასუხე ნაპო მესხიას უკვე გადაეცა სასამართლოს უწყება. ამ სიყალბის საფუძველზე ხსენებული სასამართლო 2017 წლის 5 მაისს ბატონი ნაპოს დაუსწრებელად იღებს გადაწყვეტილებას ქალბატონი ქარაიას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ;** მოპასუხეს კი, ასევე დაუსწრებელად, დაევალა წიგნში „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“ გამოქვეყნებული რაისა ქარაიას „პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების“ უარყოფა. **როგორც სასამართლოში გამოცხადების უწყება, ეს გადაწყვეტილებაც სასამართლოსაგან ბატონ ნაპოს არ მიუღია. სასამართლოს გადაწყვეტილებას ბატონი ნაპო რატომღაც ისევ მოსარჩელე ქარაიასაგან ღებულობს!** ეს ყველაფერი გამაოგნებელიც იყო და ღიმილის მომგვრელიც. როცა ბატონი ნაპო დაინტერესდა, აღმოჩნდა, რომ სასამართლოს უწყება იკარგება უმაღლეს საბჭოში ქალბატონ ასრათაშვილის მიერ. არც მის მიერ ბატონი ნაპოს მისამართზე უწყების გამოგზავნის კვალი ჩანს. მისი კვალი არც ფოსტის ქსელში იძებნება! **აი, ასე ახერხებს ქ-ნი ქარაია თავისი წამქეზებლების (გია გვაზავას, გივი ლომინაძის, თემურ მჟავიას და სხვ.) დახმარებით ამ ბინძური საქმის „მოგვარებას“.** ამან ყველა, ვინც იცნობდა ბატონ ნაპოს, გააოცა და გააოგნა. **ვინ ვის უთხრიდა ძირს, ნაპო მესხია რაისა ქარაიას?! რომელ მისი და მისი ჯგუფის მიერ გაკეთებულ სასიკეთო საქმეში?!** ეს ღიმილის მომგვრელია, მართლაც საგონებელია, ბატონ ნაპოს როგორც ადრინდელ, ისე დღევანდელ აქტიურ სამშვიდობო მოღვაწეობას, ვიზიარებთ მისი საყოველთაოდ ცნობილი პროფესიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის იმ მაღალ შეფასებას, რომელიც მოცემულია საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლების წერილში. ამასთანავე, ვგმობთ და ვემიჯნებით ბოლო პერიოდში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მის წინააღმდეგ გაკეთებულ და ამავე წერილში დამაჯერებლად დაგმობილ პუბლიკაციებს.

ტირალი რომ არ იყოს! ეს წერილი და სასამართლოს ე.წ. განჩინებაც უპასუხოდ დარჩა. ბატონმა ნაპომ არ ჩათვალა საჭიროდ, დუმილი არჩია. მიიჩნია, რომ დუმილი უდიდესი პასუხია, ვისაც გაეგება.

ჩვენ დავინტერესდით, რატომ დატოვა ბატონმა ნაპომ ქალბატონი ქარაიასა და მისი მხარდამჭერი ჯგუფის ასეთი გამაოგნებელი და სამარცხვინო ქმედებები უპასუხოდ. „აბა რა აზრი ჰქონდა?! — ამბობს ბატონი ნაპო, — უპასუხებენ ხოლმე მხოლოდ ოდნავ მაინც ღირსების მქონე და კეთილსინდისიერ ადამიანებს. როდესაც ადამიანი სინდის-ნამუსისაგან, ზნეობისაგან დაცლილია, როდესაც ყოველ ნაბიჯზე ცრუობს და სირცხვილისაგან წამითაც კი არ წითლდება, რა უნდა უპასუხოს მას კაცმა, მით უფრო, თუ ის ქალია. ასეთ შემთხვევაში ის უკადრებელს კადრულობს და ტოვებს იმ ზნეობრივ ჩარჩოს, სადაც მას ადამიანი ეწოდება. ამიტომ დუმილი ვარჩიე და ყველაფერი უპასუხოდ დავტოვე. **ვფიქრობდი, ქალბატონ ქარაიას და ბატონ მჟავიას პასუხს გასცემდნენ უმაღლესი საბჭოს წევრები,** რომლებიც ხელს აწერდნენ საიუბილეო წერილს და რომლებიც კარგად მიცნობენ მეც და ამ ქალბატონსაც, **მაგრამ ამაოდ!** არც ბატონი მჟავიას დემარშზე შეუწუხებიათ თავი“.

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ **დუმილი ყოველთვის როდია ოქრო:** უსამართლო და შეურაცხმყოფელ გამოხდომებს, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი, პასუხი უნდა გაეცეს. სწორედ ამის შეგნებამ გვიბიძგა, დაგვეწერა ეს ვრცელი წერილი, რამეთუ ქვეყნისა და ხალხის ერთგული ადამიანების შეურაცხყოფა და დამცირება ჩვენი შეურაცხყოფა და დამცირებაცაა, რაც მიუღებელია ჩვენთვის. ბოლოს და ბოლოს, როდის „სძლიოს ბოროტსა კეთილმან?!“ ჩვენ კიდევ ერთხელ გადავფურცლეთ (უკვე მერამდენედ!) ბატონი ნაპოს წიგნები, სადაც იუველური სიზუსტითაა გადმოცემული ფაქტები და მოვლენები, რომლებიც მოხდა აფხაზეთში და რომელთა თვითმხილველიც თავად ვიყავით, და, ბატონ ნაპოსთან არაერთგზის გასაუბრებისა და მასთან შეთანხმებისა შემდეგ, გადავწყვიტეთ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის, მისი სამედიცინო საზოგადოების სახელით თქვენს გაზეთში გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრებები და მიდგომა აღნიშნული პუბლიკაციებისა და ე.წ. „განჩინების“ შესახებ. ამას მივიჩნევთ საჭიროდ, **რათა საზოგადოება უკეთ გაეცნოს თავის გმირებსა და ანტიგმირებს, იმისთვის, რომ ქვეყნისა და ხალხის მოღალატეებს თავისი სახელი დაერქვათ.**

სანამ გამოვთქვამდეთ ქალბატონი ქარაიასა და ბატონი მჟავიას წერილებისადმი ჩვენს მოსაზრებებს, გვინდა, ბატონი ნაპო მესხია მთელი სიგრძე-სიგანით წარვუდგინოთ იმათ, ვინც მას კარგად არ იცნობს; წარვუდგინოთ ისეთი, როგორიც ის არის. ამის გაკეთება საჭიროდ მიგვაჩნია, **რათა ბატონმა მჟავიამ და მისმა მეგობრებმა არ ჩაგვითვალონ, რომ ეს წერილიც ესეს ჟანრშია გადაწყვეტილი.** შევეცდებით, ვისაუბროთ არა ზოგადად, არამედ საგნობრივად, მისი ცხოვრებიდან მოტანილი ფაქტებით, მის მიერ გაკეთებული საქმეებით. არც მის ოპონენტებს — ქალბატონ ქარაიას და ბატონ მჟავიას დავტოვებთ უყურადღებოდ! გზადაგზა იმათაც გამოაჩენენ საქმენი-საგმირონი, რომლებიც მათ სახელს უკავშირდება. ვფიქრობთ, ამით მკითხველს საშუალება მიეცემა, უკეთ გაეცნოს მათ და გაერკვეს, ბოლოს და ბოლოს, ვინ ვინ არის! გაერკვეს იმაშიც, რამდენად იყო გადაჭარბებული და გაზვიადებული ნაპო მესხიას იუბილესადმი მიძღვნილი დეპუტატების წერილი.

მაშ ასე: ბატონი ნაპო შალვას ძე მესხია დაიბადა 1938 წლის 28 მაისს გალის რაიონის სოფ. ოტობაიაში. 1956 წელს, გალის მე-3 საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, გაუსაძლისი ოჯახური მდგომარეობის გამო, ვერ აგრძელებს სწავლას და ფიზიკურად მუშაობას იწყებს ტყვარჩელის მაღაროში. იქ გატარებულ ორ წელიწადს სიამაყის გრძნობით იხსენებს, თავის პირველ უნივერსიტეტად თვლის. სწორედ ასეთი გზაგამოვლილი ახალგაზრდა ირიცხება 1958 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1964 წელს. ნიჭიერებამ, განსაკუთრებულმა მიზანსწრაფვამ, შრომისმოყვარეობამ თავი იჩინა სტუდენტობის დროს, იყო სტალინური, ხოლო შემდგომ ლენინური სტიპენდიატი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ტყვარჩელსა და გალში ქირურგად. 1966 წელს სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება ქ. მოსკოვში, ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც გაიარა ორდინატურა, შემდეგ ასპირანტურა. იმავე ინსტიტუტში 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1976 წელს — სა-

დოქტორო დახურულ სამხედრო-სამედიცინო საკითხებზე.

1978 წელს ბატონი ნაპო საქართველოში ბრუნდება და მუშაობას იწყებს ქ. სოხუმის პირველი საავადმყოფოში ნეიროქირურგად. 1980 წელს მისი ინიციატივით ყალიბდება პირველი ნეიროქირურგიული განყოფილება 30 საწოლზე, გულრიფშის რაიონში, ს. განახლების ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს ბაზაზე, სადაც საფუძველი ეყრება ნეიროქირურგიული ცენტრის მშენებლობას. აღსანიშნავია, რომ იმ დროს 10000 მოსახლეზე გათვალისწინებული იყო 0,2 ნეიროქირურგიული საწოლი, აფხაზეთის 550 000-იან მოსახლეზე გეგმით მოდიოდა მხოლოდ 10-12 საწოლი. **ბატონი ნაპოს მიზანსწრაფული მოღვაწეობით, ყოველგვარი ნორმატივების გვერდის ავლით, ქ. სოხუმში შეიქმნა დასავლეთ საქართველოს ნეიროქირურგიული ცენტრი 70 საწოლზე**. იგი აღიჭურვა იმ დროისთვის ყველაზე თანამედროვე სამედიცინო დანადგარებითა და ხელსაწყოებით, მათ შორის საქართველოში პირველი კომპიუტერითა და რეანომობილით. ცენტრში სამედიცინო მომსახურება სტანდარტების დონეზე იყო დაყენებული. ამიტომაც ჩამოდიოდნენ მასთან პაციენტები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ასევე რუსეთის მოსაზღვრე ქალაქებიდან, რაც ბატონ ნაპოსადმი, მაღალი პროფესიული ნდობის შედეგად ხდებოდა.

ბატონმა ნაპომ პირველმა საქართველოში დაიწყო ოპერაციების წარმოება მართვადი სუნთქვის ქვეშ, საჭიროების შემთხვევებში — პაციენტის მჯდომარე მდგომარეობაში. **საქართველოში მან პირველმა წარმატებით ჩაატარა ოპერაციები ტვინის არტერიული ანევრიზმების დროს. მას შემოთავაზებული აქვს ოპერაციული ჩარევისა და მკურნალობის არაერთი ახალი მეთოდი.** ამდენად ნეიროქირურგიულ ცენტრში, საქართველოში პირველად ტარდება არაერთი უნიკალური ოპერაცია, **რამაც მას ნეიროქირურგიულ წრეებში დამსახურებული აღიარება მოუტანა.** სწორედ ამიტომ მიმართავს ბატონ ნაპოს მის იუბილესთან დაკავშირებულ გზავნილში ნეიროქირურგიის მეტრი, სახელგანთქმული მეცნიერი, მოსკოვის ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიული ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ალექსანდრე კონოვალოვი შემდეგი სიტყვებით: **„ინსტიტუტში ახსოვხართ და უყვარხართ. ჩვენ თქვენი მადლობლები ვართ რუსეთისა და საქართველოს ნეიროქირურგიაში შეტანილი წვლილისთვის, ნეიროქირურგიისადმი ერთგულებისთვის, სიმამაცისთვის, რაც თქვენ არაერთგზის გამოიჩინეთ მძიმე ცხოვრებისეულ გზაზე“**.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონი ნაპოს, როგორც სამსახურის ხელმძღვანელის სტილი და მეთოდი. ქ. მოსკოვში ნ. ბურდენკოს სახელობის ინსტიტუტში სწავლისა და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად იგი ჩამოყალიბდა ნეიროქირურგიისა და ნევროლოგიის სიღრმისეულად მცოდნე სპეციალისტად. კოლეგებსა და თანამოაზრეებს შორის იყო უპირობო ლიდერი, თავმდაბალი, ყოველთვის კეთილი და უღალატო მეგობარი. ასეთს ვიცნობთ ჩვენ ბატონ ნაპოს, ასეთს იცნობს მას საზოგადოება და **არა ბრაზმორეულს, ჩასაფრებულს, გაბოროტებულს, დაუნდობელს, თავის თავზე უზომოდ შეყვარებულს და განდიდების სურვილით გაბრუებულს,** ან კიდევ **პოლიტიკისგან ძალიან შორს მდგარს,** როგორც წარმოგვიდგენენ მას ეროვნულ ლოზუნგებს ამოფარებული მედროვენი — ქალბატონი ქარაია და ბატონი მჟავია! მაგრამ ეს რა არის, თამაზ ნადარეიშვილსა და ქ-ნ ეთერ ასტემიროვასთან ერთად, მათ მიერ გავრცელებული გამაოგნებელი პიარის თანახმად, ბატონ ნაპოს თურმე განცხადება დაუწერია ვ. არძინბას სახელზე მისი მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნის თხოვნით. კარგად დააკვირდით ამ განცხადებას, თურმე ბატონ ნაპოსთან ერთად ხელს აწერდნენ მისი ჯგუფის წევრები — ბატონი აკაკი გასვიანი, აწ განსვენებული კიმი ჯაჭვლიანი და ბატონი ჯემალ გამახარია! ხედავთ, რა დონის აბსურდამდე დასულა ეს ხალხი?! ბატონი ნაპოს ღრმა რწმენით, ეს უღირსი პიარი ბატონ ლომინაძეს არ უნდა ეკუთვნოდეს, ეს მის ხელწერას არ ჰგავს! ეს ამათი შემოქმედებაა, მაგრამ რატომ? გასაგებია, თამაზ ნადარეიშვილს თავმჯდომარეობა უნდოდა, თანაც ძალიან, უფრო კომერციული მიზნით, მაგრამ რის ფასად?! **შეიძლება ისე დაწვრილმანდეს, ზნეობრივად ისე დაეცეს კაცი, რომ ადამიანს, თუმცა შენს ყველაზე რეალურ კონკურენტს, რომელმაც ამასწინათ გადამწყვეტი როლი შეასრულა შენს დაწინაურებაში, მიაყენო ასეთი ბინძური, ცილისმწამებლური შეურაცხყოფა?!**

ბატონ თამაზთან ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ესენი რატომ?! ალბათ, იმავე მიზეზთა გამო! მაგრამ არ შეიძლება ეს ყოფილიყო მხოლოდ მათი სნეული ფანტაზიის ნაყოფი! ეტყობა, აქ სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. ეს უფრო ფსიქიკის შიდააშლილობის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ადამიანი კარგავს რეალობის გრძნობას და მოსდის მას არაადეკვატური, აკვიატებული, მისდაუნებლიედ აღმოცენებული ილუზორული აზრები და წარმოდგენები, რომლებსაც აწყობს ისეთი თანამიმდევრობით, როგორც მას ხელს აძლევს. ასე ილექება ქვეცნობიერად და მკვიდრდება ეს აზრები და წარმოდგენები ადამიანის ფსიქიკაში. ეს ცნობილია და მას სახელიც აქვს. ფსიქიატრიაში ადამიანის ასეთ მდგომარეობას აბსესიურ-კომპულსიური აშლილობა ეწოდება, მაგრამ **თქვენ, ქალბატონო რაისა და ბატონო თემურ, რატომ დაგჭირდათ ეს უტიფრობა? როგორ აღმოჩნდით ასეთ შიდააშლილ ფსიქიკურ მდგომარეობაში? იმიტომ ხომ არა, რომ ბატონმა ნაპომ ამხილა ყველა, მათ შორის თქვენც, უკეთურ საქმიანობაში — ხალხისა და ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფაში, ღალატში?! იმიტომ ხომ არა, რომ თავის წიგნებსა და სხვა პუბლიკაციებში მან ხალხს დაუფარავად უთხრა მკაცრი, მაგრამ სრული სიმართლე?!** აბა, სხვაგვარად როგორ და როდის ნახეთ ბატონი ნაპო „დაბოღმილი“, „ჩასაფრებული“ და „გაბოროტებული“?! რატომ და საიდან ასეთი ცილისმწამებლური, გამაოგნებელი და მიუღებელი შეფასებები?! ყოველივე ის, რასაც თქვენ კადრულობთ, როგორც ვთქვით, შორსაა მის ბუნებასთან. როდის ნახეთ „თავაწეულად“ ეს ბედისაგან გამწარებული კაცი, რომელიც დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და წლობით არ გამოჩენილა საზოგადოებაში? თქვენს ე. წ. წერილებში წარმოჩენილი ნაპო მესხია არასდროს და არავის უნახავს. თქვენ კი სად და როდის ნახეთ „თავის თავზე ასე უზომოდ შეყვარებული“ კაცი — კაცი, რომლის წინაშე არაერთგზის მდგარა ყოფნა-არყოფნის საკითხი!

ჩვენც და საზოგადოებამაც ვიცით სულ სხვა ნაპო მესხია — უპრეტენზიო, თავმდაბალი, კეთილი, მზრუნველი, მფარველი და მხსნელი მეგობარი, ადამიანური და უღალატო; კაცი, რომელსაც არ სჩვევია საკუთარ თავზე საუბარი და რომლისთვის უცხოა ყოველგვარი ქედმაღლობა და ამპარტავნობა; მკაცრი, მაგრამ პირდაპირი და პირველ რიგში თავისი თავისგან მომთხოვი, ობიექტური, ყველას მშველელი და მხსნელი; ჩვენ ვიცნობთ კაცს, რომელმაც ქალაქ მოსკოვში სვერდლოვის რაიონის სასამართლოს სხდომის დარბაზიდან სახალხო დამცველის რანგში გამოიხსნა და თავდებობით სოხუმში ჩამოიყვანა წითელ მოედანზე ჩადენილი დანაშაულისთვის ხუთი წლით მჯავრდებული 18 წლის სანიტარი თენგო შარანგია; ჩვენ ვიცნობთ კაცს, რომელიც ჩაფრინდა ქ. ელისტაში და არაკომპეტენტურ ადგილობრივ კოლეგებს ხელიდან გამოსტაცა ავტოკატასტროფაში მოყოლილი ექთანი დოდო დოლიძე, ჩამოიყვანა სოხუმში და ფეხზე დააყენა იგი; ჩვენ ვიცნობთ ექიმს, რომელმაც გუდაუთის მორგიდან გამოიყვანა კომაში მყოფი პაციენტი, რომელიც იქ ოჯახის დაღუპულ სხვა 4 წევრთან ერთად შეცდომით იყო მოთავსებული; ჩამოიყვანა სოხუმში, გაუკეთა ოპერაცია და სამი თვის განმავლობაში უგონო მდგომარეობაში მყოფი 35 წლის ქმარდაღუპული ზეინაბ ადლეიბა ტიტანური შრომის შედეგად სიკვდილს გამოსტაცა და თავის სამ მცირეწლოვან მამადაკარგულ შვილებს დაუბრუნა; როდესაც ფაქტობრივად საიქიოდან დაბრუნებული ქალბატონის ნათესავებმა მადლიერების ნიშნად ბატონ ნაპოს „პაკეტი“ მიართვეს, მან იგი სტუმრებს შემდეგი სიტყვებით დაუბრუნა: „გმადლობთ, მაგრამ გთხოვთ, ეს კონვერტი ჩემი სახელით გადასცეთ მამადაკარგულ და ობლად დარჩენილ პატარებს.“ **ასეთ ნაპო მესხიას ვიცნობთ ჩვენ!** ჩვენ ვიცნობთ კაცს, რომელმაც შეინდო უმცროსი ვაჟიშვილის, ოთხნახევარი წლის პატარის 10 წლის უგუნური მკვლელის ალალი ბიძა ბესლან ხუტაბა. პროფესიული მორალის ერთგულმა ექიმმა არ დატოვა თავისი შვილის მკვლელის ბიძა განსაცდელში, უგონო მდგომარეობაში ჩამოიყვანა გუდაუთიდან და იმ ღამესვე ჩაუტარა გადაუდებელი ოპერაცია, თვენახევრის შემდეგ იგი საღსალამათი დაუბრუნა თავის ოჯახს. **ამ დიდმა ექიმმა ამით დიდსულოვნების და სულგრძელობის გაუგონარი, განმაცვიფრებელი და შოკისმომგვრელი მაგალითი უჩვენა ყველას! ეს დიდკაცობისა და მაღალზნეობრიობის მწვერვალი იყო!** ეს ფაქტი ფართოდ იქნა გახმაურებული აფხაზეთში, განსაკუთრებით აფხაზებში! **ასეთ კაცსა და ექიმს ვიცნობთ ჩვენ,** მისი კოლეგები. სწორედ ამიტომ ენდობოდნენ მას ყველგან, მათ შორის აფხაზურ საზოგადოებაშიც, როგორც ექიმს და ადამიანს. ამიტომ გამოდიოდნენ ისინი დიალოგზე მხოლოდ ბატონ ნაპოსთან. **გიფიქრიათ ამაზე, თუ რატომ ხდებოდა ასე, ბატონებო? და კიდევ, თუ გიფიქრიათ, რატომ გიხდებოდათ თქვენ, ქალბატონო და ბატონებო დევნილთა სირცხვილის დერეფანში გავლა უშვერი სიტყვების თანხლებით, ხოლო მოგვიანებით ზუგდიდიდან ამოსულ ბატონ ნაპოს იგივე დევნილები საპატიო დერეფნით აპლოდისმენტებისა და გამამხნევებელი შეძახილებით რომ მიაცილებდნენ უმაღლესი საბჭოს შენობის მე-6 სართულამდე? თუ გიფიქრიათ, რატომ ხდებოდა ასე?!** ამით გიპასუხებდათ თქვენ ბატონი ნაპო! თქვენ კი მას „განდიდების სურვილით გაბრუებულს“ უწოდებთ! **ასეთი „განდიდების სურვილით გაბრუებული“ კაცი, როგორ ფიქრობთ, უარს იტყოდა გორგასლის მე-2 ხარისხის და ღირსების ორდენებზე ან მოხსნიდა საკუთარ კანდიდატურას მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე,** მაშინ როდესაც მისი კანდიდატურა ყველაზე რეიტინგული, დეპუტატების მიერ მხარდაჭერილი და მხარეებს შორის შეთანხმებული იყო. რამდენად სწორია თქვენი შეფასებები ბატონებო?! აქ ბუნებრივია კითხვა, **თუ გაგიკეთებიათ თქვენ, რომელიმეს ან ყველას ერთად, არაფერს ვამბობთ ზნეობრივ გმირობაზე, თუნდაც უმნიშვნელო, რამე სიკეთე ხალხისა და ქვეყნისათვის?! სამწუხაროდ, არაფერი! სწორედ ამაშია სხვაობა თქვენსა და ბატონ ნაპოს შორის! ამიტომ, შეჩერდით, დაფიქრდით! თუ ვერ ინანიებთ დანაშაულებრივ შეცდომებს, სიბინძურის ფრქვევას და ენამრუშობას მაინც შეეშვით!** თქვენი წერილებისაგან ქაღალდიც წითლდება, თუ ატყობთ. ეტყობა, დალტონიზმთანაც გვაქვს საქმე!

(ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲡ 26 ᲐᲕᲢᲝᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲕᲐᲠ-ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲨᲔᲛᲝᲒᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲗ

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲜᲧᲝ ᲐᲖᲔᲣᲚᲐᲡ ᲪᲘᲮᲔᲡᲘᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანი, მთაწმინდის რაიონის გამგებელ დავით კირკიტაძესთან ერთად, აზეულას ციხესიმაგრის ტურისტული მარშრუტისთვის განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების პრეზენტაციას დაესწრო.

მთაწმინდის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, ციხესიმაგრე მხატვრულად განათდა, მოწესრიგდა მისკენ მიმავალი გზა, მოეწყო გზის მაჩვენებლები და საინფორმაციო დაფები, გარდა ამისა, მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდა ლედ სანათები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა იუნკერთა მემორიალს და ციხეზე ასასვლელ ლითონის კიბეს.

თბილისის მერის მოადგილის ირაკლი ბენდელიანის განცხადებით, მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

პროექტის ღირებულება დაახლოებით 200 000 ლარია და დღეის მდგომარეობით, მიმდებარე ტერიტორია სრულად არის განახლებული.

აღნიშნულ ტერიტორიაზე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები მთაწმინდის რაიონის გამგეობამ „თბილსერვის ჯგუფთან“ ერთად შეასრულა. პროექტის განხორციელებაში, ასევე, ჩართული იყო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲝᲠᲗᲐᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲑᲘᲜᲐᲓᲐᲠ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ კანონში შედის ცვლილებები, რომლის ინიცირება საშემოდგომო სესიაზე იგეგმება. ცვლილებების ინიციატორი გარემოს დაცვის კომიტეტი იქნება.

კანონპროექტში ნათქვამია, რომ დაუშვებელია ცხოველთა ორთაბრძოლების ორგანიზება, ჩატარება და პროპაგანდა. ინიციატივის გათვალისწინებით, ასევე აკრძალულია თუ პირი:

ცდილობს მოაწყოს ან აწყობს ცხოველთა ორთაბრძოლებს;

შეგნებულად იღებს ფულს ცხოველთა ორთაბრძოლაზე დაშვების მიზნით და ავრცელებს ინფორმაციას ცხოველთა ორთაბრძოლების გამართვის შესახებ;

წვრთნის და ამზადებს ცხოველებს ორთაბრძოლაში მონაწილეობისათვის;

იყენებს ან სხვას რთავს ნებას, თავის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობა გამოიყენოს ორთაბრძოლების მოსაწყობად;

შეგნებულად იღებს და ავრცელებს ცხოველთა ორთაბრძოლის ვიდეო და ფოტოგამოსახულებებს ან ინახავს მათ, შემდგომში მათი გავრცელების მიზნით.

თუ პარლამენტი აღნიშნულ კანონპროექტს დაამტკიცებს, ცვლილებები 2019 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება.

ჯორჯ ბუში სწორად მოიქცა, როცა 2008 წელს საქართველოში ჯარი არ გაგზავნა



ამერიკული გამოცემა, „The American Conservative“ პატრიუკ ბიუკენენის ავტორობით ანალიტიკურ სტატიას აქვეყნებს, სადაც რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებია მიმოხილული.

სტატიაში, რომლის მცირედ შემოკლებულ ქართულენოვან ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ, საუბარი საქართველოს შესახებაცაა: **აშშ-ის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი, რომელიც საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერიას“ უწოდებდა, თავისი მმართველობის მეორე ვადის დასასრულს უკვე მოსკოვში, წითელ მოედანზე რუსებთან ერთად სეირნობდა, რომლებიც, მოწონების ნიშნად, მას მხარზე ხელს უტყაპუნებდნენ.**

განა ვინმე წარმოიდგენდა რომ მტრობის დამთავრების ის ბედნიერი დრო კვლავ მტრობით შეიცვლებოდა? როგორ ისარგებლა „ცივ ომში“ გამარჯვების ტრიუმფით ამერიკამ? ნატოს სწრაფმა გაფართოებამ აღმოსავლეთისაკენ, რუსეთის საზღვრებისაკენ, მოსკოვში ეჭვები გააჩინა... როცა აშშ-ის სამხედრო ხომალდები რეგულარულად შედიან ბალტიისა და შავი ზღვების აღმოსავლეთ ნაწილში, როცა პოლონეთში აშშ-ის სამხედრო ბაზა იქმნება, როცა ამერიკა სულ უფრო მეტად ეხმარება კიევს იარაღით დონბასელი პრორუსი ამბოხებულებისა და აზოვის ზღვაში მყოფი რუსეთის ფლოტის წინააღმდეგ საბრძოლველად, იბადება კითხვა: ალყაში ხომ არ ვაქცევთ რუსეთს? დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთი უკან დაიხევს?

როცა საქართველო, რომელიც თვლიდა, რომ რუს მშვიდობისმყოფლებს ცხინვალიდან გააძევებდა და კვლავ მიიერთებდა თავის სეპარატისტულ პროვინციას — სამხრეთ ოსეთს, 2008 წლის აგვისტოში შეტევაზე გადავიდა, რუსეთის არმიამ დაუყონებლივი რეაგირება მოახდინა და ქართველებს სამხრეთ ოსეთიდან 48 საათის განმავლობაში უკან დაახევინა.

ჯორჯ ბუშ-უმცროსი ბრძნულად მოიქცა, როცა მან გადაწყვიტა, რომ რუსეთისთვის არანაირი ულტიმატუმი არ წაეყენებინა და საქართველოში ჯარი არ გაეგზავნა. პრეზიდენტმა ყურადღება არ მიაქცია „ქორ“ ოპონენტებს თავისივე რესპუბლიკურ პარტიაში, რომელთა რჩევით უფრო ადრე იგი ერაყის ომში ჩაება და რომელიც მისი პრეზიდენტობის ყველაზე დიდ ჩავარდნად ითვლება.

რაში გამოიხატება აშშ-ის სტრატეგია რუსეთის მიმართ?

რესპუბლიკური პარტიის ეგრეთ წოდებული „მაკკეინის ფრთის“ წარმომადგენლები მიისწრაფვოდნენ, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები გამხდარიყვნენ. მათი აზრით, ამ ორი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ალიანსში მიღება რუსეთს შეაკავებდა და ეს იქნებოდა ამერიკის პოლიტიკის მუდმივი მიმართულება. მაგრამ აცნობიერებს თუ არა ამერიკელი ხალხი ასეთი პოლიტიკის ფასს და მასთან დაკავშირებულ რისკებს? როგორია რუსეთის დღევანდელი პერსპექტივა, რომელიც (1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იან წლებში) ამერიკის მოთხოვნების წინაშე მუდამ ქედს იხრიდა? რუსეთი დღეს სუსტია, მაგრამ განა ჩვენც არ განვიცდით საოცარ საბიუჯეტო დეფიციტს? რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდიდან აშშ-ის წილი მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა: ჩვენი დეფიციტი უკვე თითქმის ტრილიონ დოლარს უტოლდება, შიდა ვალი კი მთლიანი შიდა პროდუქტის 100%-ს უახლოვდება (შინაურებისა და გარეშეებისადმი) დახმარება ჩვენს ეროვნულ ხაზინას აცარიელებს.

ჩვენ ორი დიდი სახელმწიფოს — ჩინეთისა და რუსეთის შეკავების ვალდებულება ნებაყოფლობით ავიღეთ. აშშ მჭიდროდაა დაკავშირებული ავღანეთში, ერაყში, იემენში და სირიაში არსებულ სიტუაციასთან. სამხედრო მოქმედების მომხრეები უკვე ბუკს სცემენ და ირანთან უფრო მასშტაბური მორიგი ომისთვის ემზადებიან. ჩვენ სანქციებს ვუცხადებთ იმ ქვეყნებს ევროპასა და მთელ მსოფლიოში, რომლებიც ჩვენს ბრძანებებს არ ემორჩილებიან.

თუ ჩვენ ყურადღებით შევხედავთ აშშ-ის გლობალურ ვალდებულებებს, რომლებიც საკუთარ თავზე ავიღეთ „ცივ ომში“ ჩვენი გამარჯვების შემდეგ, დასკვნა მხოლოდ სამი სიტყვით შეიძლება გამოვხატოთ: მეტად მძიმე ტვირთია.

* * *

„The American Conservative“ — აშშ-ის ჟურნალი, დაარსებულია 2002 წელს, გამოდის ვაშინგტონში „ამერიკული იდეების ინსტიტუტის“ ეგიდით.

„THE AMERICAN CONSERVATIVE“ (აშშ)

◎ ღირს დაფიქრებად

დაუსწრებელი საგადასახადო-სამომხმარებლო მარათონი

ჩინეთი **რომ სასწაულთა თავმოყრის გასაოცარი ქვეყანაა, თანაც მათგან უამრავის სამშობლო, საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. ძველი დროის სასწაულებსა და საოცრებებსაც თავი რომ დავანებოთ, ბოლო ათწლეულების მანძილზე მისმა ეკონომიკურმა და სამხედრო აღზევებამ, უძველესი ჩინური, თუმცა კი, მიზეზთა გამო, „განზე“ გამდგარი ტერიტორიების მშვიდობიანად შემორიგება-შემოერთებამ, საკუთარი სახელმწიფო წყობისა და პოლიტიკური დოქტრინის შეუცვლელად! ისე, რომ „ერთი შურდულიდანაც კი ქვა არ გავარდნილა“, მთელი მსოფლიო, რომ იტყვიან, „პირდაფჩენილი“ დატოვა.**

სხვადასხვა ჩინურ სასწაულზე ლაპარაკს ნამდვილად არ შევუდგებით იმ მარტივი მიზეზით, რომ ყოველივეს თუნდაც ძალზე ზოგადად, ზერელედ აღწერასაც უამრავი დრო და ადგილი, თან, ცხადია, შესაბამისი კვალიფიციური ცოდნაც დასჭირდებოდა. ამ ჯერზე მხოლოდ ერთ გარემოებაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას, პატივცემულო მკითხველო. მხედველობაში გვაქვს ცოტა ხნის წინათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიღებული კანონი, რომლის თანახმადაც, **ის მოქალაქეები, ვისაც თვეში 5 ათას იუანზე (ანუ 735 დოლარზე) ნაკლები შემოსავალი აქვს, საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდებიან**. ამით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს აზრით, მოსახლეობაში მოხმარების, შესაბამისად, ადგილობრივ მეწარმეთა შემოსავალი მოიმატებს. ამის შედეგი კი ეკონომიკური ზრდა იქნება, რასაც, თავის მხრივ, ისევ მოსახლეობის ცხოვრების დონის მატება უნდა მოჰყვეს.

აქვე იმის თქმაცაა აუცილებელი, რომ მსოფლიოში ბევრ ავტორიტეტულ ფინანსისტსა თუ ეკონომისტს, სამომხმარებლო მოთხოვნაზე დამყარებული ეკონომიკური განვითარების ტემპის მატებისა დიდად არ სწამთ, თუმცა კი ისაცაა, რომ ჩინეთისა და სხვა ქვეყნების (მათ შორის, საქართველოსი) ბაზრები სხვადასხვაგვარად მუშაობენ.

კერძოდ, ჩვენში მიჩნეულია, რომ **საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი**. ამის განპირობებული დოგმის არსი კი ისაა, რომ ყველაფერს ბაზარი დაარეგულირებს, რომლის უმთავრესი მამოძრავებელი ძალები მოთხოვნა-მოწოდებაა. მცირე ბიზნესის ხელშეწყობასა და გადასახადების შემცირებაზე ჩვენში ლაპარაკიც ბევრი ყოფილა და გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა, ვთქვათ, რამდენჯერმე მოხდა საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაცია, თუმცა კი ამის საბოლოო მიღწევა, რომელიც მოსახლეობის მატერიალური და, შესაბამისად, სოციალური ყოფის გაუმჯობესება, რის შედეგადაც ქვეყანაში ძლიერი საშუალო ფენა, ანუ ბურჟუაზია ჩამოყალიბდებოდა, დღემდე მიღწეული არ არის.

ამასთან, საშემოსავლო გადასახადის გაუქმების მომხრე სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ხელსაყრელ საგადასახადო გარემოში აღმოჩენილი მეწარმეები თავად დაიწყებენ საკუთარი ბიზნესების განვითარებას, წარმოების მასშტაბების გაზრდას, ქვეყნის ეკონომიკა კი წინსვლას დაიწყებს. მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ბიზნესის წარმატებულად განვითარებას ამის გარდა კიდევ არაერთი სხვა პირობა სჭირდება, რომელიც ჩვენში, სამწუხაროდ, არც იაფი სამეწარმეო კრედიტებია, არც აბსოლუტურად მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა. მეტიც: წინა წლების პრაქტიკა მოწმობს, რომ მაქსიმალური ტემპით სამამულო ეკონომიკის ზრდა იმ პერიოდებზე მოდის, როცა სახელმწიფო აქტიურ საინვესტიციო პოლიტიკას ატარებდა და არა ახლანდელივით იქცეოდა, როცა ახლადმიღებული კანონები, ხშირ შემთხვევაში (გნებავთ, იგივე მომავალი საპენსიო რეფორმა) უცხო ეკონომიკების სტიმულირებას შეუწყობს ხელს. სხვა შემთხვევაში ქვეყანაში შიდა ვაჭრობა (იგულისხმება რეგიონული კავშირები), ფაქტობრივად, გაჩერებულია, რადგან ადგილობრივ პროდუქციას იმპორტი ანაცვლებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება ისაა, რომ მთავრობას, თავისთავად გადასახადების არც რიცხოვნობის ზრდა უხარია, არც არსებულთა ზრდა. მეტიც: იგი სიამოვნებით შეამცირებდა მათ ოდენობას, მაგრამ იმის გამო, რომ ეკონომიკური ზრდა არასაკმარისი ტემპით მიმდინარეობს, ბიუჯეტი მზარდ ხარჯს ვეღარ ჰყოფნის. ამაში ყველაზე დიდი როლი ბიუროკრატიულ აპარატს მიუძღვის, რომლის შენახვას, სხვადასხვა დეკორაციული შემცირებების მიუხედავად, წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი სახსრები სჭირდება. რეალურად კი არასაჭირო ბიუროკრატიული რგოლების — მარტო არაფრის მაქნისი ნაირ-ნაირი მარეგულირებელი კომისიები, სამეთვალყურეო საბჭოები, ყოვლად უსუსური ომბუდსმენები და ა. შ. რად ღირს! — შემცირებას არავინ აპირებს. არადა, აბა, ერთი ვინმემ დათვალოს, რამდენი ფული უნდა მათ ხელფასპრემია-დანამატებს-უცხოურ ვოიაჟებს-ჯიბის სახარჯოებს“, მერე კიდევ „სპეცპენსიებს“! ამიტომაცაა, რომ ყველაფერ ამას მოსახლეობა იხდის, რომელსაც ისეთაც ერთი წისქვილის ქვა არ უტრიალებს თავზე... ხალხს რომ ფული არა აქვს, სამამულო პროდუქციის მოხმარებაც დაბალია, რომლის გარეშე ეკონომიკა ვერ იზრდება სათანადო ტემპით...

ჩინეთში კი საქმე სულ სხვაგვარადაა — იქ სახელმწიფო ბიზნესის ერთ-ერთი უმძლავრესი ინვესტორია, საბანკო სისტემას კი არა ჩვენებური შარაგზის ყაჩაღებივით დაუნდობელი ხალხი მართავს, არამედ სუპერპატიოსანი და სამართლიანი! როცა ამ ათი წლის წინათ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა, ჩინეთის მთავრობა საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნავდა. ხალხს საყოფაცხოვრებო ტექნიკის, დასვენებისა და მკურნალობის კუპონებს ურიგებდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ მოსახლეობაში ადგილობრივი პროდუქციის მოხმარება გაზრდილიყო, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის ზრდის ტემპის მატებას უწყობდა ხელს.

ახლა კი თავისუფლად შეიძლება იმის განსჯა, თუ რომელია ამ ორი განსხვავებული მიდგომიდან მართებული ყველა თვალსაზრისით: კერძოდ, ეკონომიკის ყოველწლიური 10-პროცენტიანი ზრდა ჩინეთში „ისე რად“ ითვლება, ჩვენ კი 4-5 პროცენტი სანატრელი გვაქვს ხოლმე.

იქნებ ღირდეს, ხელისუფლებამ — როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელმა — სხვა სასიკეთო მაგალითებიც ყურად იღოს?

ოთარ ტურაგელიძე

არცერთი კანდიდატი მთავარ კითხვებს არ პასუხობს!

მიჰა მოვა VS ბიძინა დარჩება!

90-იან წლებში შემთხვევით გადავაწყდი ძველ წიგნს სათაურით „პოტენციური ხელმწიფე“, რომლიდანაც ერთი ფრაზა დამამახსოვრდა — ყოველ პიროვნებაში პოტენციური ხელმწიფე ზის და მისი აზრები რომ ყურად იღოს, უბრალო მოკვდავთ კი არა, გენიოსებსაც მართებთ.

28 ოქტომბერს საქართველოში ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. არჩევნები, რომელზეც საქართველოს მოსახლეობა თავის ხმას და, აქედან გამომდინარე, უმაღლეს ლეგიტიმაციას 25-დან ერთ კანდიდატს მისცემს.

უმაღლეს ლეგიტიმაციას, რადგანაც მოქმედი კონსტიტუციით საქართველოში არ არსებობს თანამდებობის პირი, რომლის უფლებამოსილება პერიოდულ და თავისუფალ არჩევნებში გამოხატულ ხალხის ნებაზეა დაფუძნებული.

ბოლო რამდენიმე წელიწადში საქართველოს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები საკმაოდ შემცირდა. ძალიან მოკლედ გთავაზობთ იმ ძირითად უფლებებს, რაც დღეს საქართველოს პრეზიდენტს აქვს.

> **საქართველოს პრეზიდენტი:**
>
> **არის სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი;**
>
> **საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა გამართულ ფუნქციონირებას;**
>
> **არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი;**
>
> **წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში;**
>
> **მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;**
>
> **საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებებს, არა უგვიანეს 48 საათისა, წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად;**
>
> **დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით...**

ჩამონათვალი საკმაოდ დიდია, მაგრამ ამოვკრიბე მხოლოდ ის პუნქტები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია.

ამ რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში გავავრცელე თხოვნა: თუ რომელიმე კანდიდატი ამიხსნის რა უფლებამოვალეობა აქვს პრეზიდენტს, თუ რომელიმე წესიერად განმარტავს საქართველოს კონსტიტუციის იმ მუხლს, რომელიც პრეზიდენტს ეხება, მას მივცემ ხმას, ხოლო ის „რიჟა ბაზარი“ პენსიების მომატებაზე და საზღვარგარეთ დასაქმებაზე, ჩემი აზრით, ღალატი უფროა, რადგანაც იმის ნაცვლად, რომ პრეზიდენტმა უცხოელ პარტნიორებთან საქართველოში ინვესტიციების მოზიდვაზე და დასაქმების ნორმალური გარემოს შექმნაზე იზრუნოს, მოსახლეობის გადინებას, მათში უიმედობის განცდის გაღვივებას უწყობს ხელს.

„დაბოლილი“ კი არა, „კაკაინ-გერაინის ბუკეტით“ გათრიაქებული რომ ვიყო, ჯაფარიძეს, ნათელაშვილს, სულუაშვილს და ვიღაც-ვიღაცებს მაინც არასდროს ვანდობ ქვეყანას!!!, ჩემს, დიახ, ზუსტადაც რომ ჩემს ქვეყანას!!!

გაგიკვირდებათ და, დავით უსუფაშვილის გარდა, არავინ შემომხმიანებია (გაითვალისწინეთ, რომ უსუფაშვილი ჩემს „მეგობრებში“ არ მყავს).

ცხადია, მისი კომენტარი საკმაოდ მცირე იყო და ძირითადად იმ ვითარებაზე, რომელიც ეკლესიასა და პოლიტიკურ პერსონებს შორის დაძაბული ურთიერთობის გამოხმაურება უფროა, მაგრამ მის კომენტარში საინტერესოა ერთი მცირე ამონარიდი, რომელიც კარგად გვიჩვენებს უსუფაშვილის ხედვას პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ, რაც პირადად მე საკმაოდ სწორ პოზიციად მიმაჩნია:

„პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ვაპირებ უხერხემლო და ფარისეველ თანამდებობის პირებს განვუმარტო კონსტიტუციური წესრიგისა და სახელმწიფოებრივად ცხოვრების ანაბანა“, — მომწერა უსუფაშვილმა.

ძალიან ცუდი სიტუაციაა საქართველოში.

ძალიან ცუდი, როგორც თავად კანდიდატების მიერ წარმოებული საარჩევნო კამპანიის, ასევე საზოგადოების დამოკიდებულებისა ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესის მიმართ.

საზოგადოების დამოკიდებულებას საკმაოდ კარგად აღწერს ერთ-ერთი ფეისბუქ-პოსტი, რომელსაც სრულად გთავაზობთ:

„ჩვენ აქ დავცინით „უმცროს ლეიტენანტს“, ვაკრიტიკებთ სალომეს გამონათქვამებს. რეალურად კი ვსხედვართ და ველოდებით მოვლენების განვითარებას იმ სცენარით, თუ რა დაწერეს იქ, „ზევით!“ დაწერეს იმათ, ვისაც საქართველოს მომავალი, ფაქტობრივად, არ აინტერესებთ.

ბოდიშს ნამდვილად არ მოვიხდი, რადგანაც თუ ვიღაცების „აზრები“ და წინასაარჩევნო „დვიჟენიები“, რომელიც ძირითადად ამომრჩევლის დაშინებით — მიჰა მოვა VS ბიძინა დარჩება, 60-ვატიანი ჩინურ ნათურასავით გადაიწვა.

„ბრძოლის ველზე“ ორი „პარტია“ „ლიდერობს“ და არავინ არ საუბრობს იმ მესამე „ძალაზე“ რომელიც, ფაქტობრივად, მართავს პროცესებს.

ვაშაძის „ქორები“, რომლებიც თავიანთი გაუაზრებელი განცხადებებით — 41 დღეში მერაბიშვილს ახალაიასთან ერთად შეინწყალებენ და სალომეს ყოვლად არაადეკვატური განცხადებებით, რომელიც „ევროკავშირულ ენაზე“ რომ ვთქვა, უპირისპირდება საქართველოში ყველაზე მაღალი ნდობის მქონე ინსტიტუციას, ეკლესიას, წყალს ბოკერიას წისქვილზე ასხამს.

ვაშაძის გუნდი, რომელსაც არანაირი რეიტინგი არ გააჩნდა, ზურაბიშვილის, ანუ თამამად შეიძლება ითქვას, ოცნების არაადეკვატური წინასაარჩევნო კამპანიის შემდეგ, პროცესების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გახდა, საკმაოდ სერიოზულად ფიქრობს მაქსიმუმ პირველ ტურზე და მინიმუმ მეორე ტურის „დემოკრატიულ“ შედეგზე.

ოცნების „დამოუკიდებელი“ კანდიდატი ყოველ დღე წყალს ასხამს ვაშაძის წისქვილზე და ცივ წყალს — „ოცნების“ ამომრჩევლის ნერვებზე.

პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს რეალობა, რაც დღეს არის, იმ პიარის დამსახურებაა, რომელიც „ოცნებამ“ ბებიის სკივრიდან ამოღებული ხალათის მსგავსად, დიდ მემკვიდრეობად ჩათვალა, ჩაიცვა და იმ საბჭოთა გენერლების ცოლებს დაემსგავსა, რომლებიც გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ კონცერტზე გერმანიიდან წამოღებული პენუარებით გამოცხადდნენ. გამოცხადდნენ, რადგანაც არ იცოდნენ პენუარსა და საღამოს კაბას შორის განსხვავება“.

ვაშაძე და მისი გუნდი საარჩევნო კამპანიის პროცესში ეფემერული და უაზრო დაპირებების მიწოდების პარალელურად, დიდ აქცენტს „აგრესიულ პიარზე“ აკეთებს. არა ჯანსაღ აგრესიულ პიარზე, არამედ კონკურენტის ყოვლად მიუღებელი ფორმებით დისკრედიტაციაზე, რომელიც ერთი-ერთში ჰგავს 2003-ის ე.წ. „კმარას“ კამპანიას.

შეგახსენებთ, რომ მაშინ საკაშვილისა და ე.წ დასავლელი პარტნიორებისგან უხვად დაფინანსებული „კმარელები“, „რუსთავი-2“-ის საშუალებით ატრიალებდნენ მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლების სალანძღავ და მათ მიმართ მუქარის შემცველ ვიდეორგოლებს. აკრავდნენ პლაკატებს, რომლებიც საზოგადოების განწყობას მოქალაქეთა კავშირის წინააღმდეგ ხისტი აგრესიით მუხტავდა.

ეს მეთოდი აპრობირებულია როგორც გარე, ისე „შიდა შემსრულებლებით“.

გამომდინარე ვაშაძის გუნდის მწირი ინტელექტუალური შესაძლებლობებიდან, ისმის სრულიად ლეგიტიმური შეკითხვები: ვინ არის ამ ე.წ. პიარკამპანიის „ხაზეინი“? ვის აწყობს, რომ რეალურმა „ოცნებამ“ და **მიჰას „საზარბაზნე ხორცმა“** მთელი რესურსი ამ „პინგ-პონგში“ დახარჯოს და თავად თუნდაც მეორე ადგილზე გაძვრეს? ვინ იყო „კმარას“ პიარის მთავარი იდეოლოგი და სულისჩამდგმელი?

პასუხი სწორია — **ცხადია, გიგა ბოკერია**.

ჩვენ კი ამ დროს დავცინით ვაშაძეს, ვღადაობთ ბაქრაძეზე, ვაკრიტიკებთ სალომეს, ვიცინით იმ დანარჩენ „კანდიდატებზე“ და არავინ არ ამბობს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მეორე პოლიტიკურ ძალად **მიჰას** ნასხლეტები არიან. არიან ისინი, ვისაც საკმაო გავლენები აქვთ ევროსტრუქტურებში; ისინი, ვინც ყველანაირად ემტერებიან საქართველოს, ისინი, ვინც იმაზე ფიქრობენ, როგორ შექმნან „ახალი ქართველი“ და საბოლოოდ გაანადგურონ ქართული ენა, ჯიში და გენი.

რა შუაშია სალომეს აქცენტი? რა შუაშია ქალწულობის დიპლომი? რა შუაშია სულიერი გადარჩენა? რა გველოდება წინ, ამას თუ ვხედავთ?

თუ ვხედავთ, რომ პრეზიდენტზე მეტი გავლენა მეორე ადგილზე გასულს რომ აქვს და —სწორ გათვლებს თუ ვაკეთებთ?

პრეზიდენტი, რომელიც ტრიბუნას არ გამოიყენებს ისე, როგორც პრეზიდენტი და მარგველაშვილისგან განსხვავებით ვეტოსაც ვერ დაადებს, უფრო სუსტი რომ არის, ვიდრე „დემოკრატიისთვის“ მებრძოლი მეორე პოლიტიკური ძალა, ვერ ვხვდებით?

ამაზე უნდა ვიფიქროთ, ხალხო! ამაზე უნდა ვიფიქროთ!

უნდა ვკითხოთ კანდიდატებს, თუ რა გუნდით აპირებენ უმაღლესი ლეგიტიმაციის უფლება-მოვალეობების განხორციელებას. ვინ იქნება უმაღლესი მთავარსარდლის მრჩეველი. ვინ განსაზღვრავს პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკას. ვინ იქნება შეწყალების კომისიაში?

მოკლედ რომ ვთქვა მრავალი შეკითხვა არსებობს, რომლებზე პასუხს, სამწუხაროდ, არც ერთი კანდიდატი არ გვაძლევს.

არადა, ჩემი აზრით, ამ შეკითხვებზე პასუხები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ხუთწამიანი „ფრთიანი ფრაზები“, რომლებსაც სხვადასხვა საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტებში ვისმენთ.

არადა, დრო საკმაოდ მცირე რჩება და ამ შეკითხვების იგნორირება, ფაქტობრივად, გვაჩვენებს, რომ საქართველოში ისევ მოქმედებს „პოტენციური ხელმწიფის“ პრინციპი და ჩვენი კანდიდატები თვლიან, რომ მთავარი მათი არჩევაა, ხოლო შემდგომ როგორ იმოქმედებენ, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმათი პირადი საქმეა.

ამიტომ მივმართავ ყველა კანდიდატს: ჩვენ დაგელოდებით. დაველოდებით თქვენს პასუხებს და არჩევანს შედეგების შესაბამისად გავაკეთებთ.

გია გაბრიჭიძე

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში შპს „ახალი თბილისი“-ს „110 კვ საჰაერო ხაზის „ავშნიანი 1-2“-ის №27ა-№29 საყრდენებს შორის გადატანის“ პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ახალი თბილისი“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: თბილისი, ქერჩის ქუჩა №6

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა: დრო და ადგილი:

2018 წლის 27 სექტემბერი 12:00 საათი, გლდანის გამგეობის ადმინისტაციული შენობა. მისამართი: დავით სარაჯიშვილის ქუჩა

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მიმდინარე წლის 21 აგვისტოს, შპს „ახალმა თბილისმა“ სამინისტროში წარმოადგინა განცხადება გლდანის რაიონში, 110 კვ საჰაერო ხაზის „ავშნიანი 1-2“-ის №27ა-№29 საყრდენებს შორის გადატანის პროექტის სკოპინგის დასკვნის მიღების თაობაზე.

“გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

აღნიშნულ სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით, გლდანის გამგეობის ადმინისტაციულ შენობაში გაიმართება საჯარო განხილვა.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

პროექტის დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნები და მოსაზრებები ასევე შეგიძლიათ წარუდგინოთ სამინისტროს არაუგვიანეს 2018 წლის 28 სექტემბრისა, მისამართზე: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6, ან ელ. ფოსტის მისამართზე eia@mepa.gov.ge.

ასევე, მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტრო უზრუნველყოფს“ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მიწოდებას ნაბეჭდი სახით.

იხილეთ საჯარო განხილვის წესი



◎ ოლიმპიადა გრანდიოზულად გაიხსნა

ბრძენთა თამაშის ზეიმი

„ბლეიდ სი არენაზე“, საჭადრაკო ოლიმპიადის გახსნის ცერემონია მართლაც რომ შთამბეჭდავი გამოდგა. ნინო ანანიაშვილის საბალეტო დადგმას, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სუხიშვილების“ ნომრებს, გიორგი ათანელისა და ნინო ქათამაძის შესანიშნავ შესრულებებს, გიორგი უშიკიშვილის გუნდის „ჩაკრულოს“ კოსმოსში გაგზავნის ვიდეოგაფორმებით ტაში და ოვაციები არ მოჰკლებია. გარდა ამისა, „ბლეიდ სი არენაზე“ შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ოფიციალურმა პირებმა.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა მადლობა გადაუხადა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობას ნდობისთვის, რამაც საშუალება მისცა, ჩვენს ქვეყანას ემასპინძლა ასეთი მაღალი დონის ტურნირისათვის.

„ისეთი სპორტული ფორუმის მასპინძლობა, რომელშიც ჩართულია ათასობით მონაწილე და მოხალისე, ჩვენი ქვეყნისთვის დიდი პატივი და გამოწვევაა. მოგეხსენებათ, საქართველო გახლავთ ჭადრაკის დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოს ისეთი დიდი სახელები აჩუქა, როგორებიც გახლავთ ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია და ბევრი სხვა. ამ ადამიანებმა საჭადრაკო სამყაროში მთელი ეპოქა შექმნეს... მინდა, გამოვხატო ჩემი პატივისცემა ტურნირის თითოეული მონაწილის მიმართ, დაგიდასტუროთ სრული მხარდაჭერა საქართველო მთავრობის სახელით. სწორედ ჩვენი მთავრობის, სამინისტროსა და ჭადრაკის ფედერაციის ერთობლივი მუშაობის შედეგია ის, რომ ბათუმი ორი კვირის განმავლობაში უმასპინძლებს უმთავრეს საჭადრაკო ღონისძიებას... წარმატებას გისურვებთ ფორუმის მონაწილეებს,“ —განაცხადა მინისტრმა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელმა თორნიკე რიჟვაძემ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც გადაწყდა 43-ე ოლიმპიადის ბათუმში ჩატარება, ქალაქში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიმართულებით, — კერძოდ აშენდა ახალი მრავალფუნქციური სპორტულიკომპლექსი, რომელიც ტურნირს უმასპინძლებს. აგრეთვე აღნიშნა ისიც, რომ ბათუმის წლის სპორტულ ქალაქად დასახელდა.

შემდეგ მიკროფონი დაეთმო ფიდეს პრეზიდენტის პირველ მოადგილეს გეორგიუს მაკროპულოსს.

იგი დარწმუნებულია, რომ ბათუმის ოლიმპიადა ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ამ რანგის ტურნირების ისტორიაში.

„არაერთხელ აღვნიშნე, რომ ფიდეს ისტორიაში ახალი ერა დგება და დღეს ქართველმა ორგანიზატორებმა ამ მიზნისკენ კიდევ ერთი ნაბიჯით მიგვაახლოვეს... საქართველო ჭადრაკის ისეთი ლეგენდების სამშობლოა, როგორებიც არიან ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე. ისინი 29 წლის განმავლობაში ფლობდნენ ქალთა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. დამოუკიდებელი საქართველო ოთხი ოლიმპიადის გამარჯვებულია, ბათუმში კი მსოფლიო და ევროპული დონის ტურნირები ჩატარებულა, რისთვისაც მადლობა უნდა გადავუხადო ჩემს მეგობარს, ევროპის ჭადრაკის კავშირის პრეზიდენტს ზურაბ აზმაიფარაშვილს.“

ფიდეს პრეზიდენტის პირველმა მოადგილემ ასევე მადლიერება გამოხატა მთავრობების მიმართაც. მანვე გახსნილად გამოაცხადა 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადა.

ბოლოს დამსწრე საზოგადოების წინაშე საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი წარსდგა. მან სიამაყით აღნიშნა, რომ შავიზღვისპირა ულამაზესი ქალაქი ბათუმი დღეს ისეთი მნიშვნელოვანი ტურნირის მასპინძელია, როგორიც საჭადრაკო ოლიმპიადაა.

„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ოლიმპიადა არა მხოლოდ მოჭადრაკეების, არამედ ჩვენი ქვეყნის დიდი ზეიმია. საქართველო ცნობილია სტუმართმოყვარეობით და დარწმუნებული ვარ, რომ ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ღირსეულად უმასპინძლებენ ამ ღირსშესანიშნავ ტურნირს.“

პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა ჭადრაკის პოპულარობა საქართველოში.

„სამართლიანად ვამაყობ ნონა გაფრინდაშვილით და მაია ჩიბურდანიძით, რომლებიც ხუთ-ხუთჯერ ფლობდნენ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს. ნანა ალექსანდრიათი, რომელიც 2-ჯერ იყო მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. საერთო ჯამში საჭადრაკო დედოფლის გვირგვინი თითქმის 30 წლის განმავლობაში საქართველოში ინახებოდა. მინდა, რომ უახლოეს ხანებში საქართველომ კიდევ გაიხაროს მსოფლიოს ჩემპიონებით. ოლიმპიადა გუნდური შეჯიბრებაა და ქართული ჭადრაკის ისტორიასაც არაერთი ტრიუმფი ახსოვს — დამოუკიდებელი საქართველოს დროშის ქვეშ მოგებული ოთხი ოლიმპიადა და ევროპის ჩემპიონობა...

მსურს, ამ ოლიმპიადაზე საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდებს წარმატება ვუსურვო, ბათუმის სტუმრებს კი ოლიმპიადის დღეების სასიამოვნოდ გატარება. ამ სულისკვეთებით მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადას გახსნილად ვაცხადებ!“ — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ასე და ამგვარად, ოლიმპიადა გახსნილად გამოცხადდა და გუშინ უკვე პირველი შეხვედრები გაიმართა.

გიორგი შოთაძე

◎ სუმო

კვლავაც — ოძეკი!

ქართველმა **სუმოისტმა ლევან გორგაძემ იგივე ტოჩინოშინმა ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგიკანში“ გამართული სექტემბრის სუპერტურნირი 9 მოგებითა და 6 მარცხით დაასრულა.**

შეგახსენებთ, რომ ტოჩინოშინი აკი ბაშოს კადობანში ჩაყენებული შეხვდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოძეკის მაღალი წოდების შესანარჩუნებლად უცილობლად დადებითი ბალანსის (კაში-კოში) დაფიქსირება სჭირდებოდა.

საბედნიეროდ, ქართველმა სეკიტორმა მიზნის მიღწევა მოახერხა. საშემოდგომო სუპერტურნირის დასკვნით დღეს ტოჩინოშინი ასევე ოძეკ ტაკაიასუს გაეჯიბრა და ოკურიდაშით სძლია.

დაუმარცხებლად დაასრულა ასპარეზობა მონღოლმა იოკოძუნა ჰაკუჰომ. „თეთრმა ფენიქსმა“ მიჯრით მე-15 გამარჯვება ასევე იოკოძუნა კაკურიუსთან იზეიმა და ელიტურ მაკუუჩი დივიზიონში ათასმოგებიან ზღვარს გადააბიჯა. ვთქვათ ისიც, რომ რიგით 69-ე იოკოძუნამ „იმპერატორის თასი“ 41-ედ შემართა.

რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში ასპარეზობა მხოლოდ 6 გამარჯვებით დაასრულა გაგამარუს შიკონათი ცნობილმა თეიმურაზ ჯუღელმა. შეგახსენებთ, რომ ქართველი გოლიათი აღმოსავლეთის მე-12 ნომრის წოდებით ირჯებოდა. ამდენად, მორიგი მაკე-კოში მისი მაკუშიტაში დაქვეითების მომასწავებელი უნდა იყოს. აკი ბაშოს ბოლო დღეს გაგამარუ აღმოსავლეთის მე-4 რეიტინგოსან დაიამამისთან იორიკირით დამარცხდა.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

აღმართს დაღმართი მოჰყვა

ATP-ის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. ათეულში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა — ავსტრიელი დომინიკ ტიმი მეშვიდე ადგილზე გადავიდა, ხოლო გრიგორ დიმიტროვი მერვე პოზიციაზე დაქვეითდა.

რაც შეეხება ქართველ ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილს, რომელმაც ახლახან ისტორიული შედეგი — 31-ე პოზიცია დააფიქსირა, ოთხი ადგილით დაქვეითდა და ამჟამად რეიტინგში 35-ეა.

რჩეულთა ათეული

რაფაელ ნადალი — 8760, როჯერ ფედერერი — 6900, ნოვაკ ჯოკოვიჩი — 6445, ხუან მარტინ დელ პოტრო — 5980, ალექსანდრ ზვერევი — 4890, მარინ ჩილიჩი — 4715, დომინიკ ტიმი — 3825, გრიგორ დიმიტროვი — 3755, კევინ ანდერსონი — 3595, ჯონ იზნერი — 3470, ... 35. ნიკოლოზ ბასილაშვილი — 1277.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ფეხბურთის მოტრფიალე სოფი ლორენი

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ წინა თაობის საყვარელი იტალიელი მსახიობი სოფი ლორენი ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგი იყო და ახალგაზრდობის წლებში ეს ქალბატონი პრაქტიკულად არ აგდებდა არც ერთ მუნდიალსა და ევროპის ჩემპიონატს ისე, რომ არ წასულიყო და რამდენიმე მატჩზე მაინც არ დასწრებოდა.

სოფი ლორენი, ცხადია, იტალიის საფეხბურთო ნაკრებს ქომაგობს, თუმცა, როგორც თავად არაერთხელ უთქვამს, გულშემატკივრობა ობიეტურობას არასოდეს აკარგვინებდა და თუკი სხვა ნებისმიერი გუნდი კარგად და თვალსაჩინოდ გაირჯებოდა, არც მათ დაფასებაზე ამბობდა უარს.

ამჟამად უკვე გვარიანად მობერებული სოფი ლორენი ძირითადად ნიცაში, თავის აპარტამენტებშია „გამაგრებული“ და სახლიდან იშვიათად გამოდის. ეჰ, მუხთალ წუთისოფელს და წლების მდინარებას რას ვუზამთ, თორემ დრო იყო, სოფი ლორენის მხოლოდ დანახვაზეც კი პლანეტის მთელი სამამრეთი ოცნებობდა...

როსტომ რაჭველიშვილი

ეპიტაფია

სახელოვანი მამულიშვილი

გივი ღულუნიშვილის სსოვნას

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ქართულ ინტელიგენციას უდიდესი ტკივილი მიადგა ღვაწლმოსილი მამულიშვილისა და შესანიშნავი ინჟინრის **გივი ღულუნიშვილის** გარდაცვალებით. ქვეყანას გამოაკლდა უაღრესად კეთილშობილი, მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობრივი პრინციპების მატარებელი პიროვნება, რომელმაც სახელოვნად განვლილი ცხოვრებით ქვეყნის, და ერისათვის თავდადების ჭეშმარიტი მაგალითი დაგვიტოვა.

გ. ღულუნიშვილი დაიბადა 1930 წლის 17 სექტემბერს ქართველი მეცნიერის, უმაღლესი სკოლის თავდადებული მუშაკისა და საზოგადო მოღვაწისა პროფესორ გრიგოლ ღულუნიშვილის ოჯახში.

გ. ღულუნიშვილმა 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტი, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის სპეციალობით და სწავლა განაგრძო მოსკოვის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1959 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და შეუდგა ნაყოფიერ მოღვაწეობას იმავე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1960 წელს ბატონი გივი ღულუნიშვილი ბრუნდება საქართველოში და მუშაობას აგრძელებს თბილისში სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1961 წელს იგი გადაყვანილ იქნა ქ. ლენინგრადის ელექტროშედუღების მოწყობილობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში — მთავარი ინჟინერი. 1963 წელს ბატონი გივი მუშაობას აგრძელებს ელექტრომანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალის დირექტორის მოადგილედ. 1969 წლიდან გივი ღულუნიშვილი მუშაობდა გაერთიანება „კვანტის“ (ქ. მოსკოვი) ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგედ. 1985 წლიდან იგი სამეცნიერო-საწარმოო „ელვას“ ქარხნის მთავარი ტექნოლოგია; 1986 წლიდან კი მუშაობს ამ გაერთიანების დირექტორის მოადგილედ. 1987 წლიდან გადაიყვანეს საქართველოს გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „ალგორითმის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ. ბატონი გივი მთელი თავისი შრომითი ბიოგრაფიითა და ნიჭიერებით დაკავშირებული იყო სამეცნიერო კვლევებთან. ბატონ გივის გამოქვეყნებული ჰქონდა 150-ზე მეტი ნაშრომი, ავტორია 16 გამოგონების. მისი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგები სრულადაა ასახული როგორც ყოფილი სსრ კავშირის ჟურნალებში, ასევე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემებში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიების განვითარებაში ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

განსაკუთრებით საყურადღებოა გ. ღულუნიშვილის მიერ პირველად შემოთავაზებული ტექნოლოგიური პროცესი — „მასალის ზედაპირზე დანაფართა ჩამოყალიბება მაღალი ძაბვისა და სიხშირის დენის ეფექტური ველის გამოყენებით“. მის მიერ დამუშავებული საბაზო მოდელები ნანოტექნოლოგიათა შექმნის წინაპირობაა.

ბატონი გივი ღულუნიშვილის მიერ გალვანოტექნიკის დარგში დამუშავებულ მრავალ არსებულ მეთოდთაგან აღსანიშნავია ნაშრომი სახელწოდებით „ღულუნიშვილის მეთოდის გამოცდა“, რომელიც დაიბეჭდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გალვანოტექნიკის ცნობარში. ასევე მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი „მაღალი ძაბვის ელექტროველების ლითონური დანაფარის დატანის ძირითადი პრინციპები (ქ. მოსკოვი, გამომცემელი „ენერგია“).

ბატონი გივი ღულუნიშვილის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის შედეგები მეტყველებს მისი ხელმძღვანელობით გაწეული საქმიანობის მასშტაბურ ხასიათზე, რაც გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებშია ასახული. სწორედ ეს გარემოება გახლავთ იმის საფუძველი, რომ ბატონ გივი ღულუნიშვილს მიენიჭა „საქართველოს დამსახურებული ინჟინრის“ და „სსრკ-ის გამომგონებლის“ საპატიო წოდება. მის საყოველთაო სამეცნიერო აღიარებაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ იგი არჩეულ იქნა საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსად.

აღსანიშნავია ბატონი გივის მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საშემდღებლო წარმოების დანადგარებისა და ტექნოლოგიის კათედრის დაფუძნებასა და მისი სასწავლო-სამეცნიერო ბაზის ჩამოყალიბებაში.

ბატონი გივი ღულუნიშვილი ქართული საინჟინრო მეცნიერების ჭეშმარიტად გამორჩეული წარმომადგენელი გახლდათ. მან თავისი მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებით ფართო საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მის სახელსა და ნაღვაწს არ დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა. ბატონი გივი ღულუნიშვილი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული მეცნიერების ისტორიაში, როგორც მეცნიერი და ახალგაზრდობის აღმზრდელი, მისი ღვაწლი ფასდაუდებელია ჩვენი ქვეყნის წინაშე.

საერთაშორისო საინჟინრო აკადემია; საქართველოს საინჟინრო აკადემია; ჟურნალი „საქართველოს საინჟინრო სიახლენი“; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

გივი ღულუნიშვილის ნათელ სსოვნას

საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრის

გივი ღულუნიშვილის

გარდაცვალებით. ბატონი გივი სამუდამოდ დარჩება, როგორც ძმობისა და მეგობრობის ეტალონი, ყოველთვის გულმართალი კოლეგებისა და ახლობლების მიმართ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

გ. აბდუშელიშვილი, რ. არველაძე, გ. ჯავახაძე, მ. მაცაბერიძე, ზ. გასიტაშვილი, ი. გორგიძე, დ. გორგიძე, ო. გელაშვილი, დ. გურგენიძე, გ. აბრამიშვილი, მ. ზაკუტაშვილი, ლ. კლიმიაშვილი, შ. ნაჭყებია, ნ. ნებიერიძე, ა. სიჭინავა, რ. სტურუა, გ. სალუქვაძე, ზ. წვერაიძე, ო. წეროძე

სანთელი

შვილი გურამი, შვილიშვილები თინათინ, ქეთევან აბულაძეები, და ქეთევან ერისთავი, დისშვილი აკაკი ურუშაძე, ნათესავები, ახლობლები და მეზობლები მწუხარებით იუწყებიან

თინათინ ერისთავის

გარდაცვალებას.

კახეთში 75 წლის მამაკაცი ღვინის რეზერვუარში ჩაიხრჩო!

თელავში, სოფელ ქვემო ხოდაშენში 75 წლის მამაკაცი ღვინის რეზერვუარში ჩავარდა და გარდაიცვალა.

ნ-ტონიანი რეზერვუარი ღვინით სავსე იყო.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, მამაკაცის ცხედარი რეზერვუარიდან შემთხვევის ადგილზე მაშველების მისვლამდე ამოასვენეს.

ნინოწმინდაში სლოტ კლუბი დააყაჩაღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ყაჩაღობის ბრალდებით 1994 წელს დაბადებული ტ.ე. დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 5-იდან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდებულმა 22 სექტემბერს, ქალაქ ნინოწმინდაში თავისუფლების ქუჩაზე განთავსებულ სლოტ კლუბ „ვულკანი“-ს ოპერატორს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ფული გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

უწყების ინფორმაციით, პოლიციამ ტ.ე. მომხდარიდან რამდენიმე წუთში ნინოწმინდაში დააკავა.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას გატაცებულ თანხა, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღი, ტეტეს სისტემის პისტოლეტი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ნარკორეალიზატორს 9 წლით „დასვენებენ“

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობასა და უკანონოდ შეძენა-შენახვაში ბრალდებული ს.დ. დამნაშავედ ცნო.

ს.დ.-მ უკანონოდ შეიძინა და უკანონოდ ინახავდა ნარკოტიკულ საშუალება „ალფა-პვპ“-ს. 2018 წლის 30 მაისს, ს.დ.-მ განიზრახა უკანონოდ გაესაღებინა 6,5438 გრამი ნარკოტიკული საშუალება დაუდგენელ პირებზე, რისთვისაც ნარკოტიკული საშუალება დატოვა ქ.თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე კორპუსის სკვერში, ასევე ანჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე სკვერში, ამავე ქუჩაზე, მოშორებით მდებარე ადგილზე და ვაჟა-ფშაველას მე-5 კვარტალში, თუმცა, ის დაკავებული იქნა პოლიციის თანამშრომლების მიერ, ხოლო სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალება ამოღებულ იქნა მითითებული ადგილებიდან. ბრალდებულის დაკავებისას ჩატარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისგან ამოღებული იქნა 8 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პვპ“.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ს.დ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

გვიმრავლოს!

BEHLEN
Made Strong

კანადური კომპანია **BEHLEN Industries** მოხარულია, რომ საქართველოს მთავრობის დაკვეთით დაასრულა სამი სპორტული ობიექტის მშენებლობა და ულოცავს საქართველოს მსოფლიო ჭადრაკის ოლიმპიადის წარმართვას ბათუმის სპორტულ ობიექტზე.



ბათუმის სპორტული კომპლექსის შიდა ხედი

ინფარქტისგან მხსნელი მეუღლე

საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნას ინფარქტისგან და სიკვდილისგან ხსნაც კი შეუძლია, — ასეთია ბრიტანელ მედიკოსთა ერთობ სენსაციური განცხადება.

სამწლიან ექსპერიმენტში დაახლოებით სამმა მილიონმა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან 25 პროცენტს გულის შეტევა უკვე ჰქონდა გადატანილი, ხოლო დანარჩენებს ეს პრობლემა არ შექმნიათ. ბევრ მათგანზე ინფარქტის ალბათობის მომმატებელი ფაქტორიც მოქმედებდა, მათ შორის, მაღალი წნევა, შაქრიანი დიაბეტი, სისხლში ქოლესტერინის სიჭარბე. ექსპერიმენტის შედეგმა ცხადყო, რომ გამოკვლევის დასრულებამდე, ცოლიანები, ვისაც ინფარქტი გადატანილი ჰქონდა, მარტოხელებზე 14 პროცენტით უფრო მეტნი იყვნენ ცოცხლები. იგივე სტატისტიკა აღინიშნა დიაბეტიანებშიც: ადამიანებში, ვისაც თანამეცხედრე ჰყავდათ, სიკვდილიანობა 14 პროცენტით ნაკლები იყო.

მსგავსი ციფრები აღინიშნა ჰიპერტონიით დაავადებულებსა და სისხლში ქოლესტერინის მაღალი შემცველობის მქონე მოხალისეებშიც.

მედიკოსთა აზრით, გულის სისხლძარღვთა დაავადების მქონე ხალხისთვის პარტნიორის ხანგრძლივი და გულითადი მხარდაჭერა უდიდეს როლს ასრულებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

რობოტების გამოჩენის შემდეგ უფრო მეტი სამუშაო ადგილები შეიქმნება

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) თანახმად, რობოტების დასაქმებასთან დაკავშირებით შიშები რეალობას არ შეესაბამება. ანალიტიკოსების ვარაუდით, რობოტების გამოჩენის შედეგად 2022 წლისთვის 75 მილიონი ადამიანი სამუშაო ადგილს დაკარგავს, თუმცა ამის პარალელურად, 133 მილიონი სამუშაო პოზიცია შეიქმნება.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიხედვით, რობოტების განვითარება საქმის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად გაზრდის, მსოფლიოში კი მონაცემთა ანალიტიკოსებზე, პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელებსა და სოციალური მედიის სპეციალისტებზე მოთხოვნა საგრძნობლად გაიზრდება.

სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ რობოტების გამოჩენა გარკვეულ სამუშაო პოზიციებს აუცილებლად შეიწირავს — საუბარია ისეთ სამუშაო ადგილებზე, სადაც ადამიანებს გადაწყვეტილების მიღება არ სჭირდებათ (მაგალითად, მოლარე). შესაბამისად, ადამიანებს დასაქმებისთვის ანალიტიკური უნარების გამოვლენა დასჭირდებათ.



იძინეთ!

ქრონიკული უძილობა შეიძლება ალცჰაიმერის დაავადების მიზეზი გახდეს. ნევროლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ერთი უძილო ღამის შედეგადაც კი, თავის ტვინში 25-30 პროცენტით მატულობს იმ ცილის შემცველობა, რომელიც დემენციის (ხანდაზმულობითი გონებასისუსტის — რედ.) ჩამრთველი მექანიზმის როლს ასრულებს.

ამიტომაცაა, რომ რეგულარული უძილობა ხელს უწყობს ნეიროდეგენერაციული სნეულებების წარმოშობას.

ბარენცული „ცხელი წყალი“

დედამიწაზე კლიმატის დათბობა ყველაზე მეტად არქტიკასა და მიმდებარე ტერიტორიებზეა შესამჩნევი. თუკი სხვაგან ჰაერის საშუალო ტემპერატურა ათ წელიწადში საშუალოდ ცელსიუსის 0,17 გრადუსით იმატებს, არქტიკაში — 0,8 გრადუსით, ანუ ორნახევარზე მეტჯერ იზრდება!



თუმცა არის ადგილები, კერძოდ, ბარენცის ზღვა, სადაც ეს პროცესი კიდევ უფრო სწრაფად მიმდინარეობს: ბოლო 16 წელიწადში საშუალო ტემპერატურა იქ 2,7 გრადუსით გაიზარდა, იტყობინებიან ნორვეგიელი მეცნიერები. არადა, დედამიწის დანარჩენ მხარეებში 2-3-გრადუსიან მატებას მხოლოდ XXI საუკუნის მიწურულისთვის ვარაუდობენ.

100 წლის გაზეთი
თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6216; ევრო - 3.0854;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4584;
100 რუბლი - 3.9340; თურქული ლირა - 0.4172;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5467;
1000 სომხური დრამი - 5.4151.

ამინდი 25 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+15,	დღე	+29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge